745ω/10872
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 5 (32) 12 მარტი. 1991

# ვით უსაჭურველოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს...

შიდა ქართლში საქართველოს მიწა-წყალს დახარბებული შეიარაღებული ოსთა ბანდები თარეშობენ. გენერალური გეგმა ნათელია: შინაგანი ჯარების დახმარებით უიარაღო ქართველი მოსახლეობის რბევა, ხოცვა და მამაპაპის საცხოვრებლიდან გამოდევნა. ქვემოთ მოთავსებული პორტრეტები ალბათ გეცნობათ. ეს ისინი გახლავან, ვინც საქართველოს განიარაღებაში ხელი გაურია და ამით ჩვენს ქვეყანას — ნებსით თუ უნებლიეთ ზურგში ლახვარი ჩასცა. ზურაბ ჩხეიძემ, იმ დროს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, 1989 წლის 4 აპრილს ხელი მოაწერა სანადირო თოფების ჩამორთმევის ბრძანებას. გენერალ-ლეიტენანტმა შოთა გორგოძემ, იმ დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით შეკრიბა საქართველოს მილიციის ხელში არსებული ავტომატები და მოსკოვში გაგზავნა. მას, უთუოდ, შეეძლო ეს იარაღი გადაენახა ან იმისთვის დაერიგებინა, ვისაც მისი ჯეროვნად ხმარება შეუძლია. შეეძლო, რა თქმა უნდა, თავის, თანამდებობის და, შესაძლოა, სიცოცხლის ხარჯზე, მაგრამ სახელოვან სიკვდილს მან არც თუ სასახელო სიცოცხლე არჩია. დანარჩენი ჩარჩოები თავისუფალია (ჯერჯერობით) მათში იმ პიროვნებათა პორტრეტები მოთავსდება, ვინც ყველაფერს არ იღონებს ან ვერ იღონებს იმისათვის, რომ თავისი სამშობლო — გავშვი, ქალი თუ მამაკაცი — უმწეო მსხვერპლის როლს გადაარჩინოს.

მეგობრებო, ვისაც საქართველო ჯერ კიდევ თავისად გთვლით: გაიხსენეთ, რომ ომში უსაჭურველოდ დარჩენილ ვაჟკაცზე უფრო შესაბრალი ქვეყნად არავინაა. გაიხსენეთ, რომ ქემერტში, სვერში, ავნევში, ნულში და ლიახვის ხეობის სოფლებში მრავალი გულმაგარი, მაგრამ უიარაღო ვაჟკაცი დგას, რათა თავისი მიწა და თავისი ცოლ-შვილი დაიცვას. ამგვარ პირობებში თუნდაც ერთი ცალი იარაღის შენახვა საკუთარი „პარტიული“ ინტერესის (რატომ ღმერთი არ გაიცინებს) ან საკუთარი სხეულის დასაცავად დანაშაულია.

შიდა ქართლში მცხოვრებმა ქართველმა ვაჟკაცმა, სხვა რომ ველარა გააწყო რა, თავად „გამოიგონა“ თოფი, რათა ოს მკვლელთაგან დაეცვა თავი.

ტექნიკურ მიღწევათა ფეიერვერკების საუკუნეში რა უმწეონი უნდა ვიყოთ ქართველნი, როგორ უნდა გამწარდეს ადამიანი, რომ გამოჩორკნილი კონდახის, ჟანგიანი მილის, კარის საკეტისა და სხვა წვრილმანი ხარახურისაგან თოფი გააკეთოს.

ეს თოფი მუზეუმში უნდა დაიდოს. სამხილად ჩვენი ამჟამინდელი ყოფისა, სამხილად იმ ადამიანებისა, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა. მოსკოვს კიდევ ჩვენი იარაღი სჭირდებოდა, ასე გულუხვად და მორჩილად რომ გავუგზავნეთ?!





11 მარტს ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. სხდომაზე საუბარი იყო ჩვენი ერის სადღეისო, საჭირბოროტო პრობლემებზე.

სხდომაზე წაკითხულ იქნა ქარელისა და გორის რაიონების რუსი მოსახლეობის მიმართვა ბ. ნ. ელცინისადმი, რომელსაც აქვე გთავაზობთ. (მიმართვა გაიგზავნა რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად).

## რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს ქარელისა და გორის რაიონების (საქართველოს რესპუბლიკა) რუსი მოსახლეობის

# მიმართვა

ღრმად პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის რუსი მოსახლეობა თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებას, რომ მასობრივი ინფორმაციის საკავშირო საშუალებები დამახინჯებული სახით აშუქებენ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს, რაც ისედაც დაძაბულ ვითარებას მეტისმეტად ართულებს.

რუსი ეროვნების მოსახლეობა საქართველოში 300 000 კაცს შეადგენს. პირველი რუსული დასახლებები 200 წელს ითვლის ამ ძველ მაწაზე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენსა და ქართველებს შორის არ ყოფილა შუღლი და მტრობა. ყოველთვის ვცხოვრობდით თანხმობით და მეგობრულად.

უკანასკნელ ხანს რუსეთში ვრცელდება ე. წ. „რუსულენოვანი მოსახლეობის“ მიმართვა. გვსურს გაუწყოთ, რომ საქართველოში არავითარი „რუსულენოვანი მოსახლეობა“ არ არსებობს; გარდა რუსებისა, რომლებიც ქართველების მხრიდან ეროვნული გრძნობისა და ადამიანური ღირსების შელახვას არასოდეს განიცდიდნენ.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთში შექმნილია შტაბი, რომელიც დახმარებას უწევს „უკიდეგანო სამშობლოს“ ყოველი კუთხიდან ლტოლვილ რუსებს. მათ შორის არ მოიძებნება ლტოლვილები საქართველოდან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საქართველოში მცხოვრები როგორც რუსი, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები თანაბარ პირობებში ცხოვრობენ ქართველებთან ერთად.

ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძევ, ჩვენ ველოდებით თქვენს სამართლიან და ობიექტურ გამოხმაურებას ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების ირგვლივ.

ჩვენ იმედის თვალით გიმზერთ თქვენ, როგორც რუსეთისა და რუსი ხალხის, რუსული კულტურის მხსნელს.

გვწამს, რომ ჩვენი ხალხების ბედი და თავისუფალი მომავალი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული იმპერიის უღლისაგან რუსეთის განთავისუფლებაზე.

გვჯერა, რომ თავისუფალ საქართველოში რუსები კიდევ უფრო უკეთ იცხოვრებენ.

არ გვსურს, რომ იმპერიის არმიის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჩვენი შვილები ოკუპანტების როლს ასრულებდნენ საქართველოში.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ბრძოლა რუსეთის თავისუფლებისა და აღორძინებისათვის ხელს შეუწყობს აგრეთვე საქართველოს თავისუფლების საქმეს.

300-ზე მეტი ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა მკითხველს

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

დღეს, როდესაც საქართველოს მეტად მძიმე დღეები დაუდგა, საჭიროა, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საკუთარი ხალხისათვის. მე ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია შესძლებდა სწორად გაეანალიზებინა ის მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოში ამ ერთი თვის განმავლობაში. მე მეგონა, რომ იმ სიბინძურეს, რომელიც ქართველ პატრიოტებს მიაცხეს, ნაწილობრივ მაინც ჩამორეცხავდა გაზეთი „საქართველო“. მაგრამ ამის მაგივრად ვიხილე გრძელი სტატიები საქართველოსათვის პოლიტიკურ გვამზე — ე. შევარდნაძეზე და სხვა მეორეხარისხოვან საკითხებზე. მეორეხარისხოვანს იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ყოველი სტატია, რომელიც არ არის მიმართული ფაშიზმის აღკვეთისაკენ, მეორეხარისხოვანია. ამ ფაქტის შემდეგ მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სახალხო ფრონტი მომხრეა ფაშიზმისა. იმას ვერავინ უარყოფს, რომ გაზეთი „საქართველო“ გამოირჩეოდა ობიექტურობით, მასში იხილავდი ყველა მხარის პოზიციას. მაგრამ, ეტყობა, მას შემდეგ, რაც გაზეთი თბილ ქურქში გაეხვია, იმის შიშით, რომ მას ამ ქურქს წაართმევენ, გაჩუმებას ამჯობინებს. უფრო მეტიც, თქვენ ხარკის გადახდა დაუწყეთ ზვიად გამსახურდიას და მისი წინასწარმეტყველებების ბეჭდვას შეუდექით. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენი სიჩუმით ხალხს ისევ იმ ფერხულში აგდებთ, რომლისგანაც გამოსვლას ცდილობს.

დუმილი თანხმობის ნიშანია. ე. ი. სახალხო ფრონტი ყველაფერში ეთანხმება „მრგვალი მაგიდის“ მიერ გატარებულ პოლიტიკას. ის არ თქვათ, თითქოს „მრგვალ მაგიდასთან“ დაპირისპირება კრემლის პოლიტიკის ხელშეწყობა იქნება. ზოგჯერ კრიტიკა საუკეთესო დახმარებაა ხელისუფლებისათვის. იმ დროს, როდესაც საქართველოში უკვე დაიწყო რეპრესიები და დღედღეზე მას შეიძლება მასობრივი ხასიათი მიეცეს, თქვენ არათუ თქვენს აზრს, არამედ, „მრგვალი მაგიდის“ მოწინააღმდეგეთა სამართლიან შენიშვნებსაც არ უთმობთ გაზეთის გვერდებს, იმ გაზეთისას, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია. ეს იმის ბრალია, რომ გგონიათ, რადგან თქვენ არ ხვდებით ცეცხლის ალში, მომავალშიც გარანტირებული გაქვთ უსაფრთხოება. ადამიანს ჰგონია, რომ თუ მეზობლის დაჭერას დუმილით მიიღებს, მას აღარ დაიჭერენ; მაგრამ ბოლოს მასაც იჭერენ და მხოლოდ შემდეგ ხვდება თავის შეცდომას.

ჩვენ სუყველას დაგვიჭერენ — მხედრიონსაც, ეროვნულ კონგრესსაც, მათ მომხრეებსაც და ნეიტრალებსაც. თქვენ კი იცხოვრებთ იმ წუმპეში, რომელშიც არ იქნებიან არც აკაკი ბაქრაძე, არც ვალერიან ადვაძე და არც სხვა პატრიოტები. უყურეთ პეტრიაშვილებს და ქორიძეებს, რომელთაც მხოლოდ ის შეუძლიათ, მოწინააღმდეგე მოწამლონ და მიწასთან გაასწორონ. მე გთხოვთ: მთელი თქვენი გონებით გაანალიზეთ სიტუაცია და დადექით იქ, სადაც სამართალია. იბრძოლეთ ისე, როგორც თქვენი გონება გეტყვით; ოღონდ, ნუ სდუმხართ.

**ჯანო მაჭავარიანი**

## გვიყვარდეს ომში ერთმანეთი და არა ერთმანეთში ომი

ჯერაც არ განელებულა ის დიდი სიხარული, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული ძალების, მთელი ქართველი ხალხის გამარჯვებამ რომ მოგვიტანა. თუმცაღა, უკვე მაშინვე ვიცოდით, ამ მართლაც „ძლევაი საკვირველს“ ასე ადვილად რომ არ გვაპატიებდნენ გარეშე თუ შინაური მტრები.

აკი არც გვაპატიეს. ჩვენს მიწაზე, ჩვენი პურითა და ღვინით გასუქებულ-გალაღებული ოსი ავაზაკები — ლამის მოფერებით „ექსტრემისტებს“ რომ ვეძახით — მადლობას იმით გვიხდიან, რომ წინაპართა ძვლებით გაპოხილ მიწას გვედავებიან, რუსებისაგან უხვად ნაბოძები მრავალგვარი იარაღით ომი გაგვიჩაღეს და როგორც ჯაყოს ღირსეულ შთამომავლებს შეეფერებათ, კრემლისაგან ძალა და გულმიცემულნი, ამ, მათთვის ყოველმხრივ უსამართლო ომში ყველაფერ უკადრისს კადრულობენ: ღალატით, მოტყუებით, მიპარვით თავდასხმებს, უიარაღოთა, მოხუცების, ქალების, ბავშვების ბარბაროსულად ხოცვას...

უკვე ორჯერ ვიხმარე სიტყვა „ომი“. დიახ, ეს ომია, ნამდვილი, სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელსაც საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ იწევიან, არა მარტო ოსები, არამედ მთელი **კრემლის იმპერია**; და ეს რომ ასეა, ყველა საღად მოაზროვნისათვის ნათელია (ასევე ნათელია ის მიზანიც, რისთვისაც ამ ომს იწევა კრემლი — ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ჩახშობა, მისი „ნებაყოფლობითი“ შეყვანა ახალ, „განახლებულ“ ფედერაციაში, ანუ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე „კანონიერად“ კოლონიური უღლის დადება). გიჟის გარდა, ალბათ, არავინ არ გახდის სადაოდ ამ უდაო ფაქტს.

აი, ცოტა ხნის წინ კი...

ყველას გვახსოვს უზენაესი საბჭოს სესიაზე როგორ „აიგდეს“ ბატონი **ნოდარ ნათაძე**, როგორ შერაცხეს შეურაცხადად, ფსიქიურად დაავადებულად, როდესაც პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, თუ კრემლი აგრესიულ ნაბიჯებს გადადგამს საქართველოს მიმართ, ეს უნდა შევაფასოთ **საბჭოთა კავშირის ომად საქართველოს წინააღმდეგ.**

დიახ, მაშინ გიჟი უძახეს, დღეს კი იგივე დამძაბველ-დამცინველები ხშირ-ხშირად ამბობენ, წერენ. სამაჩაბლოში მიმდინარე ამბები სხვა არაფერია, თუ არა **იმპერიის, კრემლის ომი საქართველოს წინააღმდეგ.**

რისთვის გავიხსენე ეს „ინციდენტი“? (მით უფრო, რომ დღეს, ჩვენში გაბატონებული საყოველთაო ურთიერთ შერისხვის, ლანძღვა-გინების ატმოსფეროში ზოგიერთ „პოპულარულ“ იარლიყთან შედარებით „შეურაცხადის“ ძახილი ლამის მოფერებად შეიძლება ჩაითვალოს).

გავიხსენე არა იმისათვის, რომ ვინმეს ნიშნი მოვუგო, მითუმეტეს, მთელ უზენაეს საბჭოს, სადაც, სამწუხაროდ, ერთი დეპუტატიც კი არ აღმოჩნდა, ოდნავ მაინც რომ ამოეღო ხმა კოლეგის დასაცავად.

ვფიქრობ, სწორედ ეს **მაშინდელი „ხმისამოუღებლობა“, ხმის არაამაღლებაც** გახდა ერთ-ერთი, შეიძლება არაპირდაპირი, მაგრამ მაინც მიზეზი, „წამქეზებლური“ ფაქტორი აღნიშნული ატმოსფეროს შექმნისა, ამა თუ იმ განსხვავებული (ოფიციალური თუ არაოფიციალური) აზრის **მოუთმენლობისა, ურთიერთაუტანლობა-გაუტანლობისა, ნაირნაირი იარლიყებით ურთიერთშემკობისა...**

მაშინ მთელ უზენაეს საბჭოს, მთელ ქართველ ხალხს რომ **ასე უხმოდ, უდრტვინველად (უფრო მეტიც, ღიმილ-ხითხითით)** არ „გადაეყლაპა“ საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული შვილის, მოღვაწისა და მებრძოლის შეურაცხყოფა, უბრალოდ, **დაეცვა** თავისი დეპუტატის პიროვნული — და არა მარტო პიროვნული — ღირსება (და ამით თავისი ღირსებაც) შეიძლება დღეს ესოდენ „მიღებულ“ თავდასხმა-შეურაცხყოფებს ამგვარი მასშტაბი არ მიეღო.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ მივუბრუნდები „ომს“.

დღეს საქართველო ომშია ჩაბმული, უთანასწორო ომში.

მით უფრო გვჭირია „საშინაო ზავი“, შინამშვიდობა.

სულმნათი მერაბ კოსტავას ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს თუ მივმართავთ:

**გვიყვარდეს ომში ერთმანეთი და არა ერთმანეთში ომი!**

ამასთან, მინდა დავძინო, ნურც ჩვენ ვიქნებით ჩასაფრებული საქართველოს თავკაცებისადმი. პატივისცემა ორმხრივი უნდა იყოს.

**ფ. ქართველიშვილი**

## მიხარია, როცა თქვენ გისმენთ!

ამ ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებით გახშირდა თავდასხმა ადამიანებზე, რომლებიც თავიანთ განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ საჯაროდ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

როგორც ჩანს და, როგორც ეს ცხადი იყო, თუ ხელმძღვანელების მიერ დაწესებულ სტანდარტებს არ ემთხვევა გამოთქმული აზრი, ის მიუღებელი უნდა იყოს მათი შეხედულებით მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. ოპონენტის დისკრედიტაციისა და განადგურების ხერხი ცნობილია, ოპონენტი გამოყავთ სამიზნედ. ბრბოს ამუშავებენ დეზინფორმაციის შხამით, იძლევიან განკარგულებას და იწყება შეტევა „დამნაშავეზე“. თავდამსხმელები და ბილწ სიტყვათა მოყვარულნი გაგიხარიათ, ბლომად გვყავნან, ოღონდაც ადამიანები ლანძღონ, აგინონ, წუმპეში ამოსვარონ, გული გაუხეთქონ და მოკლან. ეს არის მათი პროფესია, სიხარული და მხეცური ჟინი, რაც ადამიანური მორალის ქრისტიანულ კოდექსებს საოცრად შორდება და ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში დაგმობილია. კომუნისტური პარტიის ბატონობის პერიოდში, როცა აზროვნების მონოპოლიას ცენტრი ფლობდა, მასები, საბჭოთა ხალხი საერთოდ არ აზროვნებდნენ. მათი აზრი და შეხედულებები არავის სჭირდებოდა, რადგან ზემოდან მზამზარეული იდეები განუწყვეტლივ ნიაღვარივით მოედინებოდა, მასები კი ვალდებულნი იყვნენ მოეხდინათ მხოლოდ და მხოლოდ ამ „გენიალური აზრების“ რეალიზაცია. ახლა, როცა ვაშენებთ სამართლიან სახელმწიფოს, დემოკრატიზაციის და პლურალიზმის გარეშე ასეთი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. დღეს კი რას ვხედავთ, რისი მოწმენი ვართ, კაცს საკუთარი აზრი ვერ გამოუთქვამს, რადგან იმავე წუთში თავდასხმისა და განადგურების ობიექტი ხდება.

ბატონ აკაკის ჩემი დაცვა არ სჭირდება. ისე, როგორც სხვა ბევრ ჩვენს ნიჭიერ მამულიშვილებს, მოკრძალებულ პატივს ვცემ და სულ იმას ვნატრობ, ღმერთს ვთხოვ და ვევედრები, ასეთი მამულიშვილები გვიმრავლოს-თქო. ამ მოკლე დროში, მერაბ მამარდაშვილი, მსოფლიოში აღიარებული ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, ასეთივე თავდასხმისა და დისკრედიტაციის მსხვერპლი გახდა. ახლა კი არავის მივცემთ საშუალებას აკაკი ბაქრაძის მიმართ ცნობილი კომუნისტური მეთოდები გამოიყენონ.

აკაკი ბაქრაძის ფენომენი კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის უკვდავი იდეალებით არის შეჯერებული. მისი მოქალაქეობრივი კრედო სამშობლოს სიყვარული და თავდადებაა. ამიტომაც ამ ნიჭიერ მამულიშვილს სჭირდება უფრო მეტად მოფერება, თანადგომა და გამხნევება.

რაოდენ საწყენია: კომუნისტების ბატონობის პერიოდში ბატონი აკაკი იძულებით სდუმდა, ახლაც თვითონ გაგვაფრთხილა ტელეეკრანიდან, რომ ასეთ ვითარებაში, სადაც განუკითხაობა და ანარქიაა, სადაც ჯანსაღი აზრი არავის სჭირდება და დევნის ობიექტი ხდება, ხმას არ ამოიღებს. მე კი, და ჩემისთანა ასიათასებს, სურთ, რომ აკაკი ბაქრაძეს ხშირად ვხედავდეთ ტელეეკრანებზე და პრესის ფურცლებზეც ვეცნობოდეთ მის ნაწერებს.

**მურთაზ აბაშიძე**

# ინფორმაცია განსჯისათვის

# ხალხის სახელით...

## მამა და შვილი

„ძალზე ძნელია აუღელვებლად გამოხატო ის უდიდესი აღშფოთება, რაც მთელ ქართველ ხალხში ზ. გამსახურდიასა და მისი ავანჩავანის აშკარად მტრულმა და ამაზრზენმა გამოხდომებმა გამოიწვია. უღირსმა შვილმა სამშობლოს უღალატა, უღალატა ნათელ მრაწმსს, ღრმა ხნულად რომ გასდევს მამის მთელ შემოქმედებასა და შეგნებულ ცხოვრებას, ყველაფერი იმას, რაც წმინდათა წმინდად და ხელშეუხებლად მიაჩნდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ დიდ მწერალსა და მგზნებარე პატრიოტს“.

„უმადური შვილი ნაციონალიზმისა და შუღლის ცეცხლს აღვივებს, ჩვენი ერის, ჩვენი ინტერნაციონალისტური გრძნობებისა და ხალხთა მეგობრობის საზიანოდ, სხვის წისქვილზე ასხამს წყალს“.

„ჩვენ, ომის ვეტერანები გულის სიღრმემდე აღშფოთებული ვართ ზ. გამსახურდიას ფარისევლური გამცემლობით. ზიზღს ვუცხადებთ ადამიანებს, რომლებსაც სურთ მისხალ-მისხალ გაყიდონ ყველაფერი წმინდა, რაც ქართველ ხალხს ამშვენებს და შარავანდედით მოსავს“.

**სსრ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის 1977 წლის 30 მარტის სხდომის მონაწილენი, სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები: გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტები ვ. ჯანჯღავა, ვ. ნანეიშვილი, გადამდგარი მაიორი დ. ჯაბიძე, გადამდგარი პოლკოვნიკი ა. პირმისაშვილი; გადამდგარი გენერალ-მაიორები: ნ. თავართქილაძე, პ. აბრამიძე, ვ. ზარელუა, ვ. ჯინჭარაძე, ბ. ნაზაროვი, გადამდგარი პოლკოვნიკები: ს. აგულაძე, მ. ჩიქოვანი.**

**გაზეთი „თბილისი“, 1977 წლის 31 მარტი.**

„ეს ყველაფრის მკადრებელი მანიაკები, რომელთაც მამულიშვილობისა და კეთილმოსურნეობის ნიღაბს ამოფარებული ზვიად გამსახურდია მოთავეობს — თვალთმაქცობენ, ბინძურ ხერხს მიმართავენ, ეროვნული გრძნობების სპეკულაციას ეწევიან...“

„ყველა ქართველისათვის, ვინც ზ. გამსახურდიას ცოტად თუ ბევრად ახლოს იცნობს, ნათელია, რომ ეს ფსევდოინტელიგენტი ვაჟბატონი „სიყრმით თვისიდგანვე“

## არა ცილი სწამო

გამოუსწორებელი ხულიგანი, გვარიანად გაწვრთნილი შანტაჟისტი და დახელოვნებული პროვოკატორია“.

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V,**

**მიტროპოლიტი გაიოზ,**

**წილკნელი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი,**

**ეპისკოპოსი გიორგი, მანგლელი,**

**ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი.**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1977 წლის 1 აპრილი.**

## მიმართვა

**საქართველოში** შექმნილი მწვავე ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს გააჩნია ზნეობრივი და მორალური უფლება ხმა აღიმაღლოს იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელთაც ინსპირაციულად აწარმოებენ ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ხულიგნურ-ტერორისტული ორგანიზაციები. ქართველი ერი ნათლად ხედავს ანალოგიას იმ სიტუაციისას, რომელიც იქმნებოდა წიწამურის ტრაგედიამდე. მითუმეტეს რომ, დღევანდელ პოლიტიკურ ასპარეზზე აშკარავდებიან ნეოორჯონიკიძეები, ნეომახარაძეები, ნეობერბიჭაშვილები — ჭანტურიების, სარიშვილების, იოსელიანების სახით. ტყვედქმნილი საქართველო სიმართლის დათრგუნვის, ძალადობისა და ტერორიზმის გზით ვერ მიაღწევს თავისუფლებას და პოლიტიკურ სიძლიერეს, არამედ გაგრძელდება დაქნინების, ასიმილირებისა და გადაგვარების პროცესები, რაც ჩვენი ერის მსოფლიო საერთაშორისო თვალსაწიერიდან გაქრობით დასრულდება. სწორედ ამიტომ, მოვითხოვთ ტერორისტული პარტიებისა და ორგანიზაციების აქტივისტთა თვითნებობისა და დაუსჯელობის მხილებას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით და სამარცხვინო „ეროვნულ მოღვაწეთა“ მოკვეთას ერის მიერ.

„ძირს ბარაბას მომაკვდინებელი გზა!“

**სულ 2500 ხელმოწერა.**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 23 თებერვალი.**

უაღრესად დაძაბულია დღეს ვითარება საქართველოში. ყველა მხრიდან გვიტევს მტერი. მაგრამ ყველა[ზე] მეტად გვიჭირს შიგნით — პარტიებად, ბლოკებად, კლუბებად და საზოგადოებებად დაიყო ერი. არ გვაქვს ერთი ხმა, ერთი აზრი. ხშ[ირად] [illegible] ზშირად გაისმის ერთიმეორეზე უარესი ბრალდებები, ერთმანეთში აირია ქორი და მართალი, უფრო და უფრო ღრმავდება განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში.

ამიტომაც გვენიშნა ბევრი რამ თვალსაჩინო ფრანგი მწერლის ანდრე მორუას წერილი — შეგონებიდან „პოლიტიკა“, რომელიც ამოღებულია ციკლიდან „ღია წერილი ახალგაზრდა კაცს ცხოვრების შესახებ“. მასში საუბარია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკური მოღვაწე, რა პრინციპებს უნდა მისდიოს მან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რა მორალური, ეთიკური და ზნეობრივი კრიტერიუმებით იხელმძღვანელოს იმ შემთხვევაში, თუ იგი მოხვდება ხელისუფლების სათავეში.

ქვემოთ გთავაზობთ ამ წერილის თარგმანს (იბეჭდება მცირე შემოკლებით).

მთარგმნელი

# პოლიტიკა

## ანდრე მორუა

ისწრაფვით თუ არა საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ? გადაწყვიტეთ თქვენ თვითონ. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ხასიათსა და გარემოებაზე. არიან ადამიანები, რომლებზეც ზედგამოჭრილია არისტოტელეს სიტყვები: „ადამიანი პოლიტიკური ცხოველია“. თუ თქვენ გიზიდავთ ბრძოლა, თუ თქვენ ბუნებამ დაგაჯილდოვათ მჭევრმეტყველების ნიჭით, თუ გამოცდილებამ დაგარწმუნათ იმაში, რომ შეგიძლიათ აიყოლიოთ აუდიტორია, ბრბო, და ჩვენს დროში რაც მეტად მნიშვნელოვანია, „მოახდინოთ დიდი შთაბეჭდილება“ ტელევიზიით გამოსვლისას, მაშინ რატომაც არა? მე მომწონს ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოვიდნენ პოლიტიკაში. ერთხელ, როგორღაც ერთი ადამიანი აირჩიეს დიდი ქალაქის მერად იმიტომ, რომ მის აბაზანაში წყალი მოდიოდა შეფერხებით და მან გამოიკვლია ამის მიზეზი, ალკვეთა უწესრიგობანი და ამით გააუმჯობესა მთელი ქალაქის წყლით მომარაგების საქმეც. აქედან დაიწყო მისი კარიერა.

საერთოდ, ღირს კი ხელისუფლებისათვის ბრძოლა? ალენს, შესანიშნავ მჭევრმეტყველსა და მიზანმიმართულ მოაზროვნეს, ბრწყინვალე დიალექტიკოსს, რუანის სახალხო უნივერსიტეტის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესორს, ყველა საფუძველი გააჩნდა იმისათვის, რომ საკმაოდ პატივმოყვრული იმედები ჰქონოდა, მაგრამ იგი ამისთვის არ იწუხებდა თავს, რადგან ყველაზე მეტად სურდა დარჩენილიყო თავისუფალ ადამიანად. პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ხელისუფალთა ფავორიტები არსებითად ამ პარტიებისა და ხელისუფლების ტყვეები არიან და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისინი მოსწონდეთ. ალენი კი ამისთვის არ ზრუნავდა. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ აუცილებლად სჭირდებათ ზედამხედველობა და ამიტომაც ქვეყანას უნდა ჰყავდეს გამჭრიახი ჭკუის რიგითი მოქალაქეები. მას სურდა ყოფილიყო ერთი ასეთი რიგითი მოქალაქე. სწორედ ამ მიზეზით უარყო მან ყველა ჩინი, გარდა კაპრალისა, პირველ მსოფლიო ომში, სადაც მოხალისედ წავიდა. მეც, ისევე, როგორც ალენი, ყოველთვის უარვყოფდი შემოთავაზებულ პოსტებს, თუმცა ზოგი ამ პოსტთაგანი არათუ საკმაოდ მაღალი, არამედ საპატიოც კი იყო. მაგრამ ეს მაგალითი არაფერს ამტკიცებს, ყველა ერს სჭირდება აქტიური ხელმძღვანელი. შეიძლება თქვენც გახდეთ ერთი მათგანი.

თუ ასე მოხდა, პირველ რიგში ხელი მოკიდეთ პრაქტიკულ საქმიანობას. ქალაქის თავი და სახელმწიფოს მეთაურიც მტკიცედ უნდა იცავდეს პრინციპს — ნაკლები სიტყვა, მეტი — საქმე. გზათა ქსელის გაფართოება, საავადმყოფოების მოწყობა, მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფა, სპორტული მოედნების მშენებლობა, თეატრალური კოლექტივების მხარდაჭერა — აი, ნამდვილი მერის საზრუნავი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ბრძნული საგარეო პოლიტიკის გატარება, კონტროლი ბიუჯეტზე, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, სკოლების, ლიცეუმების, უნივერსიტეტების მშენებლობა, საიმედო და ადვილად ხელმისაწვდომი სოციალური უზრუნველყოფა, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა — აი, რაზე ზრუნავს ბრძენი მთავრობა. თქვენ იტყვით: „ე. ი. არა აქვს მნიშვნელობა, მემარცხენე ვარ თუ მემარჯვენე?“ მე ეს არ მითქვამს. მაგრამ ჩემი აზრით, რეფორმის მომხრე ინგლისელ კონსერვატორსა და ინგლისელ ზომიერ ლეიბორისტს შორის არსებითი განსხვავება არაა. ჩვეულებრივ, ყველა პარტიაშია როგორც კეთილშობილი, ასევე ნაიქნებით ისე თავდაჭერებული, რომ უარი თქვათ მოწინააღმდეგის აზრის მოსმენაზე. განსხვავებული აზრის ხელაღებით უკუგდება უფრო ადვილია, ვიდრე მათი დასაბუთებული უარყოფა. პოლიტიკაში შეუძლებელია დაიცვა მიუკერძოებლობა. ცხოვრება თქვენ გაქცევთ ან კონსერვატორად, ან ოპოზიციონერად. მე ვიცნობ მრავალ ადამიანს, რომლებიც გააფთრებით იცავენ მათი პარტიის მიერ წამოყენებულ ამა თუ იმ ღონისძიებას, და ამავე დროს შეუბრალებლად კიცხავენ იგივე ღონისძიებებს, თუ მას მოწინააღმდეგე მხარე წამოაყენებს. გახსოვდეთ: სიძულვილი და ფანატიზმი — წინ არ სწევენ პოლიტიკას. „დიდი ადამიანობა იმაში კი არაა, რომ უკიდურესობაში გადავარდე, არამედ იმაში, რომ ორივე უკიდურესობას შეეხო ერთდროულად და შეავსო მათ შუა არსებული ადგილი“ (პასკალი).

იყო დრო, როცა დასავლეთში არავინ უარყოფდა საპარლამენტო რეჟიმს. 1914 წლამდე საერთოდ მას საფრანგეთისათვის მხოლოდ სიკეთე მოჰქონდა. III რესპუბლიკის წყალობით პირველ მსოფლიო ომში ჩვენ ჩავებით ძლევამოსილი არმიითა და ძლიერი მოკავშირეებით. III რესპუბლიკის ერთ-ერთ მოღვაწეს ხალხში „გამარჯვების მამასაც“ კი უწოდებდნენ. მაგრამ შემდეგში ეს ბრწყინვალება გაფერმკრთალდა. ბევრ ევროპულ სახელმწიფოში საპარლამენტო ანარქიამ შვა ფაშიზმი, ძალის დიქტატურა, რომელიც უსინდისოდ ზღუდავდა ყველანაირ თავისუფლებას. ამავე დროს, რუსეთში დამყარდა სულ სხვა, მაგრამ არანაკლებად ძლიერი ხელისუფლება...

დიდი გეგმების განხორციელება შეიძლება კი მივანდოთ მინისმთავრობა, რომელიც არ იზიარებს უმრავლესობის აზრს, გადაყენებული იქნეს და რომ ეს გადაყენება მოხდეს კანონიერი გზით. კანონი განქორწინების შესახებ არ უნდა უშვებდეს იმას, რომ უბრალო კაპრიზი არღვევდეს ქორწინების წმიდათაწმიდა კავშირს. არ იქნებოდა ურიგო რამენაირი კანონით დავიცვათ პარლამენტი თავისივე კაპრიზისაგან.

„ყოველ ეტაპზე მთავრობის მთავარი ამოცანაა — წერდა ჟაკ რიუეფი — სწორად შევაფასოთ წარსულის წვლილი, რომელიც შეიძლება შევინარჩუნოთ აწმყოში, და აწმყოს წვლილი, რომელიც შეიძლება ვუანდერძოთ მომავალს“. ეს საკმაოდ სწორი აზრია და თქვენ დარწმუნდებით იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ აწმყოში წარსულის საკმაოდ დიდი წილი. ერს არ შეუძლია დაიწყოს ნულიდან და უარყოს ყველაფერი ის რაც კი უშენებია ძველ თაობებს. მემკვიდრეობითობის მატერიალური სიმბოლოებია — არქიტექტურული ძეგლები. საფრანგეთის რევოლუციამ შემოგვინახა ვერსალი, რუსეთის რევოლუციამ — კრემლი და ზამთრის სასახლე. რესტავრაციამ, შემდგომ რესპუბლიკამ შეგვინარჩუნეს იმპერიის საუკეთესო დაწესებულებები: პრეფექტურები, სახელმწიფო საბჭო, უნივერსიტეტი, საპატიო ლეგიონი. ღმერთმა ქნას, თქვენი თაობაც ასეთივე ბრძენი იყოს.

თქვენ ვერ ასცდებით დემაგოგიის ცდუნებას. დემაგოგი ხალხის გაჭირვებაზე სპეკულირებს და იმისთვის, რომ გაიმარჯვოს, პირდება ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა, ამავე დროს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ ამ დაპირებების შესრულება მის ძალებს აღემატება. ამგვარმა ტყუილმა შეიძძირალა ადამიანებიც (შეშლილებსა და ურჩხულებზე არას ვამბობ). ეს დაყოფა მე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება, ვიდრე დაყოფა, ვთქვათ, სოციალისტებად და რადიკალებად, დამოუკიდებელ და სახალხო რესპუბლიკელებად, სახალხო-რესპუბლიკურ მოძრაობად და ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირად. ნუ იქნებით თქვენი პარტიის ფანატიკოსი. ერი ერთიანია და ერთის კეთილდღეობა დაკავშირებულია სხვების კეთილდღეობაზე. ულტრამემარცხენეებიც, ულტრამემარჯვენეებიც ყოველთვის თვითონვე ანგრევდნენ იმ რეჟიმს, რომელსაც ადრე თავგამოდებით იცავდნენ.

და ყველაზე მთავარი — ნუ

ტრებს, რომლებიც გადადგომის მუდმივ შიშში იმყოფებიან? ჩვენ წინანდებურად მოვითხოვთ იმას, რომ პარლამენტი ახორციელებდეს კონტროლს მთავრობაზე, რომ დეპუტატი იყოს შუამავალი ამომრჩეველსა და ხელისუფლებას შორის, აუცილებლობის შემთხვევაში კი — ამომრჩეველთა დამცველიც. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლება იყოს წმიდათაწმიდა და ხელშეუხები, რომ მთავრობა, რომელმაც ვერ მიიღო ხმათა უმრავლესობა თავისუფალ არჩევნებზე, გადადგეს, რომ ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი რასისა, წარმოშობისა და სარწმუნოებისა, კანონის წინაშე იყვნენ თანაბარნი, რომ ყველა

ლება მოიტანოს დროებითი წარმატება, მაგრამ [illegible] ხდევს საშინელი გამოღვიძება, რომელსაც მოყვება ან რეაქცია (თერმიდორი, 18 ბრიუმერი), ან, თუ დემაგოგი ყველაფრის მიუხედავად ცდილობს დარჩეს ხელისუფლების სათავეში, დიქტატურა. ასე, რომ ვფიქრობ, თქვენ არ გაგიკვირდებათ ჩემი ეს გაფრთხილება ყველანაირი დემაგოგიის შესახებ. ხდება, რა თქმა უნდა, დემაგოგიურ პოლიტიკასაც მოაქვს წარმატება, მაგრამ ეს წარმატება ეფემერულია. „სახელმწიფო წისქვილი ფქვავს ნელა, მაგრამ სწორად“. ადრე თუ გვიან ცრუ დაპირებები წარმოშობს უკმაყოფილებას და ამბოხს. საერთო ჯამში მხოლოდ პატიოსანი პოლიტიკოსები აღწევენ ხანგრძლივ გამარჯვებას.

თქვენ ხშირად მოგიწევთ საქმის ინტერესებისთვის კომპრომისსა და უკომპრომისობას შორის დგომა. საფრანგეთის რევოლუციის მართლმორწმუნე მომხრეებმა იგი ჯერ ბარასის, შემდეგ კი ბონაპარტის ხელში მოაქციეს. სადაა აქ თანაფარდობა სასარგებლოსა და უკომპრომისობას შორის? რა თქმა უნდა, ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგეძლოს გაარჩიო ერთმანეთისგან ჭეშმარიტი და ცრუ უკომპრომისობა.

პედანტურად იცავდე ამა თუ იმ დოქტრინას და ამასთან, ანგარიშს არ უწევდე ფაქტებს — ეს უკვე უკომპრომისობა კი არა, სიჯიუტეა. მარქსმა, უძლიერესი გონების მქონე ადამიანმა, თავისი სისტემაააგო იმ დროის საზოგადოების ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ის რომ დღეს ცოცხალი იყოს, პირველი შეიტანდა ცვლილებებს თავის სისტემაში. ასევეა საქმე პოლიტიკური პლატფორმის დროსაც: არავინ დაიცავს დღეს ლიბერალიზმს წმინდა სახით. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ბატონობს თავისუფალი მეწარმეობა, უფლება მიწაზე და ვაჭრობაზე ( ბეგრება გადასახადით. იყო ერთგული სისტემისა, რომელიც კონფლიქტშია ცხოვრებასთან, ეს უკომპრომისობა კი არა, სისულელეა. არა მხოლოდ უკომპრომისობა, არამედ სასარგებლოც არის ხოლმე ჭეშმარიტი და ცრუც. თუ აღიარებთ პრინციპს „რაც უარესი — მით უკეთესი“ და ხმათა უმრავლესობისათვის შეეკვრებით თქვენს საშიშ მოწინააღმდეგეებს, თქვენ ვერაფერს მიაღწევთ. პირიქით, ცრუ მდგომარეობაში ჩაიყენებთ თავს და დაკარგავთ ყოველგვარ ავტორიტეტს. საჭიროა იფიქროთ არა მხოლოდ დღევანდელზე, არამედ ხვალინდელ დღეზეც.

თარგმნა
სერგო ჯანაშიამ.

---

# ჰაილ გორბაჩოვ!

საბჭოთა „სამართლებრივი სახელმწიფო“ — ეს ველური, პერისტროიკის ჰიბრიდი — იწყებს ანგელოზის ფრთებქვეშ უშნოდ შემალული კუდის, ჩლიქებისა და რქების გამოჩენას. ქრთვყვარად მოძველებული 190. 1-ე სტატიის ნაცვლად — საბჭოთა საზოგადოებრივ წყობას რომ ადებდა ტაბუს — გაჩნდა ახალი, გაცილებით „აქტუალური“, უარესი ტაბუ თვითარჩეული პრეზიდენტის პიროვნებაზე. „ცილისწამება“ მის პრეზიდენტულ უდიდებულესობაზე ისჯება 6 წლით თავისუფლების ალკვეთით. საინტერესოა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის ეს დაუცხრომელი აპოლოგეტი (გორბაჩოვი) საზოგადოებრივს აშკარად აყენებს პიროვნულზე დაბლა: საბჭოთა საზოგადოებრივ წყობაზე ცილისწამებისათვის სულ 3 წელს აძლევდნენ. როგორც ჩანს, ეს მორიგი უმაღლესი ბრძანებულება ყოფილი 70-ე სტატიის ტრანსფორმაციას წარმოადგენს. ერთი ეგ არის, პირდაპირ ვერ თქვეს: „ანტიგორბაჩოვისეული... პრეზიდენტის რეპუტაციის ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის... მკაცრი რეჟიმის... ქონების კონფისკაციით...“.

მაგრამ ეს ხომ სულაც არ არის ზღვარი. ამგვარი „ლოგიკით“, „სამართლით“ სხვა შეუძლიათ მოგვკვეთონ თავი, დაგვწვან კოცონზე (როგორც ეს იყო შუა საუკუნეებში, ინკვიზიციის დროს) „წმინდანი“ გორბაჩოვის წინააღმდეგ ჩადენილი „მკრეხელობისათვის“. შეუძლიათ ყველგან დადგან გორბაჩოვის ქანდაკებები და გვაიძულონ თაყვანი ვცეთ მათ რომის იმპერატორების ქანდაკებების მსგავსად. შეიძლება დაგვხვრიტონ გორბაჩოვის პორტრეტის დაზიანებისათვის, როგორც ხვრეტდნენ 1937 წელს სტალინის პორტრეტის შეურაცხყოფისათვის...

ჩვენს „დუჩეს“ სრული საფუძველი აქვს შეშფოთებული იყოს შერყეული რეპუტაციის გამო, „„მადლიერი“ ხალხისაგან ელოდოს დამპალ პამიდორებსა თუ ლაყე კვერცხებს. გორბაჩოვისეული სატელევიზიო სანახაობები ყველას ყელში ამოუვიდა, პური კი სულ უფრო და უფრო მცირდება. ნერონიც, კალიგულაც გაცილებით წარმატებით აძრახებდნენ მოემადლიერებინათ რომაელი ხალხი.

მოსკოვში კი, დაფნის გვირგვინების ნაცვლად — ლოზუნგები გამოიტანეს: „გორბაჩოვი — ციხეში!“ (პირველი მაისის დემონსტრაციაზე).

თბილისის, ბაქო[ს], სომხეთის შემდეგ, მინსკში, მოსკოვში, ლვოვში სპეცნაწილების მჯეცობის შემდეგ გორბაჩოვი [მხ]ოლოდ ჯალათისა და მკვ[ლე]ლის სახელს იმსახურებს [და] ჩემი ეს განცხადება სულაც [არა]ა კონსტრუქციული კრიტიკა, [ღ]მერთმა დამიფაროს! კრიტიკა [illegible] ხელიდან მთლად არწასულ კაცისა, იმ ადამიანისა, კიდევ [რ]ომ იძლევა რაღაც იმედებს. [illegible] ჯალათებს კი არ აკრიტი[კებენ] — ისინი სძულთ და ეზიზღე[ბათ], მათ ნიურნბერგში ასამართლე[ბენ]. [ვის] მოუვა აზრად „გააკრიტიკოს“ ლენინი, სტალინი, ბრეჟნევი — და ყველა მისი ბოროტმოქმედების შემდეგ — ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ? ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲠᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ძნელია რაიმე ახ[ალი] გამოგონება სტალინისა და [ჰიტ]ლერის შემდეგ. მაზილ [illegible]ვეევიჩმა კი, მოახერხა და თავის მაინც თქვა. ფერღანა და სუმგაითი, ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივება — ეს ჩვენი რკინის საუკუნისთვისაც სიახლეა. და ყოველივე ამის შემდეგ რა მსუბუქად ჟღერს ბრალდება, რომ გორბაჩოვი ზაზინის ქურდია. დიახ, მაფიოზები იპარავენ, დიახ, კრემლის მაფიის მეთაური არ შეიძლებოდა ამ მხრივაც პირველი არ ყოფილიყო. მაგრამ რა არის ადამიანებისა და ადამიანურობის წინაშე ამ უდიდესი დამნაშავისათვის ორიოდე მოპარული მილიონი? განა ჰიტლერელი დამნაშავეები ქურდობისათვის გაასამართლეს? განა ეს რამეს ნიშნავს კრემატორიუმების ფონზე? ლენინი და ძერჟინსკი პატიოსანი და მგზნებარე ინკვიზიტორები იყვნენ, მაგრამ ეს ვინმესთვის რაიმე შეღავათი იყო?

ჰიტლერის მისამართით „ჰაილს“ იძახდნენ, ჩვენთან კი რაღაც არ ისმის „ჰაილ გორბაჩოვ“-ი. ბრეჟნევს არ სჭირდებოდა ხალხის სიყვარული, რაც მთავარია, ძალაუფლება ჰქონდა, მითუმეტეს, რომ გონებითა და სულიერებით არ დააჯილდოვა ღმერთმა. გორბაჩოვს კი, არა მარტო სიყვარული, ტყვიები, ხიშტები, ტანკებიც არ ჰყოფნის, რათა ძალაუფლება შეინარჩუნოს. არასანქცირებული მიტინგები, უზარმაზარი დემონსტრაციები, თამამი ლოზუნგები, ერთი სიტყვით, საყოველთაო უკმაყოფილება, მძვინვარება არყევს ტირანის სუსტფეხება ტახტს.

ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲒᲘᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲜᲒᲠᲔ ᲜᲘᲩᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲭᲔᲮᲘᲚᲘ ᲑᲝᲒᲑᲝᲔᲑᲘᲪ...

„ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲔᲥᲪᲔᲕᲘ ᲛᲘᲬᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲔᲥᲪᲔᲕᲘ ᲦᲕᲗᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ“!..

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲜᲝᲕᲝᲓᲕᲝᲠᲡᲙᲐᲘᲐ
„ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“, № 14. 1990 წ

თარგმნა
ფელიქს კოჭიაშვილმა.

---

# გერმანელი ოკუპანტები უფრო მეტს იძლეოდნენ

ტალინში მოქმედებს სასურსათო ტალონები, რომლებითაც 10 დღეში ერთხელ ერთ სულ მოსახლეზე გაიცემა 200 გრამი კარაქი. ამან არ შეიძლება არ გაგვახსენოს გერმანული ოკუპაციის პერიოდი, როცა მოქალაქეებს აგრეთვე სასურსათო ბარათები ეძლეოდათ.

გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ მაშინ, გაგანია ომის პერიოდში, იგივე კარაქის მიღება მოქალაქეებს შეეძლოთ ყოველ 7 დღეში, 180 გრამის ოდენობით.

ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, თუ რომელი მთავრობა, რომელი ოკუპანტები უფრო ზრუნავდნენ დაპყრობილი ხალხის კუჭზე.

გაზ. „ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ“, № 10. 1990 წ.

**ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როცა გაზეთ „საქართველოში" წავიკითხე ბატონ თემურ მირიანაშვილის მრავალმხრივ საინტერესო სტატია „ედუარდ შევარდნაძე", რომელიც, სურს თუ არა ეს მის ავტორს, ჩვენს მიერ ქვემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გზის აპოლოგიაა. ვისურვებდი, რომ ავტორი, რომელიც, როგორც ჩანს, ჩემი თაობის წარმომადგენელია, მეორე გზის აპოლოგეტად მენახა, რადგანაც, ვფიქრობ, სწორედ ისაა ჩვენი თაობის ჭეშმარიტი გზა.**

# საუკუნის მისტერია

თემურ ფიფია

**საქართველოში** ღალატით ვერავის გააკვირვებ. ჩვენი ისტორია სავსეა ამის მაგალითებით. გვღალატობდნენ მეგობრები, მოყვრად მოსული მტრები, მაგრამ უფრო მეტად ჩვენვე ვღალატობდით ერსაც და საკუთარ თავსაც.

არც ეს საუკუნე ყოფილა გამონაკლისი. თავისუფლებადაკარგულ ერს დამპყრობლის სამსახურში ჩამდგარი კაცები ღალატობდნენ. ეს ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, და ამიტომაც არ გვიკვირს კომუნისტური მისტერიით გონებადაბნელებული ადამიანების ნამოქმედარი.

მაგრამ სულ სხვაა ღალატი, რომელიც ერის კეთილდღეობის მოტივით ხდება. ასეთი ღალატის შედეგი შეიძლება გლობალურად დამღუპველი აღმოჩნდეს მთელი ერისათვის, რადგან იგი ანგრევს ეროვნულ ცნობიერებას და დიდი ხნის აპათიისა და გულგატეხილობისათვის წირავს ერს. გამოსავალი აქ იქნებ ის იყოს, რომ დროზე გავაცნობიეროთ ჩადენილი ღალატი, გავიაზროთ მისი გამომწვევი მიზეზები და ჩამდენის შემაწყნარებელი არგუმენტებიც გამოვნახოთ, რითაც ერს მიტევების საშუალება მიეცემა და ამით საუკუნო ცოდვის შედეგებისაგან განთავისუფლდება.

საერთოდ, არავინ იცის, ისტორიის ჩარხი როგორ ბრუნავს. მასში არ არის ობიექტური კანონზომიერება და ისტორიის კანონებიც ადამიანთა ნების გამოვლენაა მხოლოდ. ამიტომ, იქნებ ისეც მოხდეს, ერთი ისტორიული მოვლენა მეორემ გადაფაროს და პირველის შედეგები იმის საწინააღმდეგო აღმოჩნდეს, ვიდრე იგი მის განმახორციელებელს ჰქონდა ჩაფიქრებული. ამბობენ, ისტორია გამარჯვებულს არ ასამართლებსო. თუ ეს ასეა და თუ დღეს რუსეთის იმპერია თვითონ დაინგრა, რისი იმედიც ასე აქვთ ზოგიერთებს, მაშინ, იქნებ, ხელი არც გამოჩნდეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ყველაფერი ღვთისაგან არის. ზნეობა ადამიანებისათვის უზენაესისაგან მინიჭებული უპირველესი ღირებულებაა და არ შეიძლება მისი დარღვევა რაიმე მიზანმა, — თვით ერის ინტერესებზე აპელირებამ — გაამართლოს. ამიტომაც ბედავს ამ სტრიქონების ავტორი ამ უსაშინელესი ბრალდების გამოთქმას, თუმცა კი ძალიანაც უმძიმს ამის გაკეთება. ყოყმანი საბოლოოდ მით დაიძლია, ვინძლო ჩამდენიც ჩაუღრმავდეს თავის მოქმედებას.

თავისუფლება ერის არსებობის უპირველესი მიზანიცაა და საშუალებაც. თავისუფლების გარეშე ერის სრულყოფილი არსებობა არ იაზრება. ამიტომაც ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის სამართლიანია და ღვთით კურთხეული.

არაფერს ვიტყვი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაზე თავისუფლებისათვის. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩვენს საუკუნეში მან არსობრივი მნიშვნელობა შეიძინა. ყველას, პოზიტიურად თუ ნეგატიურად, გაცნობიერებული აქვს მისი აუცილებლობა. ისტორიულ წიაღსვლებს არ მოვყვები, XX საუკუნის ეტაპებს მოვხაზავ მხოლოდ:

1918-1921 წლებში თავისუფლებანაგემი თაობა უმოწყალოდ იქნა განადგურებული კომუნისტური იდეოლოგიით აღჭურვილი იმპერიული ძალების მიერ. მომდევნო თაობის ენერგია და შემოქმედებითი პოტენცია გერმანია-რუსეთის 1941-1945 წლების საშინელმა ომმა შეიწირა. ომს გადარჩენილი ეს თაობა საბოლოოდ ომის გავლენიდან და შესაბამისად იმპერიული აზროვნების წყვდიადიდან ვერ გამოვიდა.

და მაინც, XX საუკუნის დასაწყისის თავისუფლებასმოწყურებულ საქართველოსთან კავშირი არ გაწყვეტილა. ორმა დიდმა მოღვაწემ, გალაკტიონმა და კონსტანტინემ, შეძლო წარსულთან უწყვეტი ძაფების შენარჩუნება და იგი 60-70-იან წლებში აკმეს მიღწეულ თაობას გადასცა. ამ დროისათვის ქართულ სულს გამოვლენის ორი სფერო ჰქონდა შერჩენილი — მწერლობა და სუფრა (შესაძლოა სპორტიც). მაშინ ითქვა: „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის", „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა", „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!". თუ სულის სფეროში ეს აწრთობდა ახალ თაობას, ყოფით სფეროში სუფრაზე ნათქვამი ლამაზი სადღეგრძელოთი გადაცემულ ტრადიციას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ეს იყო „პირველად იყო სიტყვა", რომელსაც აუცილებლად საქმე უნდა მოჰყოლოდა. სამწუხაროდ, ამ თაობის საბოლოო სიტყვა აღმოჩნდა: „მე ქვამარილი, საყვარლებო, ვინ მომაქვავა".

იმ წლების პოლიტიკური ატმოსფერო აუტანელია. მართალია, აღარავის ხვრეტენ, მაგრამ მტკიცედ დადუღაბებული ტოტალიტარული აზროვნების წინააღმდეგ წასვლა უკვე ძალიან ძნელია. დემოკრატიაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, პოლიტიკურ თავისუფლებაზე ფიქრიც ზედმეტია. და მაინც, თუ ერთი-ორი ახირებული სადმე გამოერევა, მათი ხმა არავის ესმის. ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერება დაბნელებულია და ახალგაზრდობა ცრუ იდეალებს სწირავს სიცოცხლეს (1956 წლის მარტი).

70-იან წლებში კომუნისტურ ტოტალიტარიზმს უკვე დაღლა დაეტყო. ნელ-ნელა იწყება ბრძოლა პიროვნების ცალკეული უფლებებისათვის. ირღვევა რკინის ფარდა, საბჭოთა კავშირი ხელს აწერს ჰელსინკის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციას, რომლის შინაარსსაც თავის მოქალაქეებს საგულდაგულოდ უმალავს. ამიტომ იმპერიაში იწყება ბრძოლა აღიარებულის, მაგრამ დაფარულის გაკადრებისათვის. კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ გაზრდილ თაობას მხოლოდ ამ უფლებებისათვის ბრძოლის ძალა აღმოაჩნდა. მათი იდეალია მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში — კონფედერაცია. ასე გაჩნდნენ დისიდენტები და დისიდენტობა, მაგრამ ამ მოძრაობას ფართო ხასიათი არ მიუღია.

80-იანი წლებიდან იმპერიაში ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი.

იმპერიის ჭკვიანი თავები უკვე გრძნობენ ძველებურად მისი შენარჩუნების შეუძლებლობას და მის მოდერნიზებას იწყებენ. სწორედ ამან მოიტანა გარდაქმნა და გლასნოსტი.

მცირე ერების შვილებს ერთი უბედურებაც სჭირთ — ყოველნაირად ცდილობენ, მსოფლიო ისტორიას მიეჭყლიტონ. მათი ცალკეული წარმომადგენლები ზოგჯერ ახერხებენ ამას, ოღონდ იძულებული არიან, თავიანთი ერის შვილობა დაივიწყონ. მასობრივ ცნობიერებაში მცირე ერი მსოფლიო ისტორიასთან ზიარების წყურვილს წრეგადასულ ტრაბახში იკლავს. ეს განსაკუთრებით ნათლად ცნაურდება ჩვენი სამხრეთელი ახლო მეზობლის მოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საფრთხის საშიშროებას ვითვალისწინებ, მაინც გავბედავ და ვიტყვი: — იმპერიის მოდერნიზების გეგმის შემუშავებაში ქართულმა ფენომენმა უდიდესი როლი ითამაშა.

ქართველი ერის აზროვნება ნიჭიერებით არის აღბეჭდილი. რადგანაც ერს ბოლო 2 საუკუნე თავისი ნიჭის სწორად წარმართვის საშუალება არ ჰქონდა, ხშირად იგი ერისათვის საზიანო მოქმედებებში გამოვლინდა.

ცნობილია, რომ ყოველი იმპერია არსებობს იმდენად, რამდენადაც მას საფუძვლად აქვს გარკვეული იდეოლოგია. იმპერიის დასანგრევად პირველ რიგში ამ იდეური საფუძვლის გამოცლაა საჭირო. საუკუნის დასაწყისში ეს საფუძველი იმპერიას უკვე შერყეული ჰქონდა, მაგრამ კომუნიზმის მითმა მას ახალი სული შთაბერა. ამ ახალი იდეების იმპერიის სინამდვილისადმი მორგების საქმეში რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთის ქართველმა წარმომადგენლებმა ლომის წილი დაიდეს. მაგრამ უკვე შემდგომშიც, „საბოლოოდ გამარჯვებული და განვითარებული სოციალიზმის" წლებშიც ქართული აზროვნება ყველაზე უფრო ორიგინალური და მაღალნიჭიერად დაწერილი შრომებით ამდიდრებდა იმპერიის იდეოლოგიურ საფუძველს.

საქართველოში 70-იან წლებში ომის შემდგომი თაობის განვითარებამ თავის აკმეს მიაღწია. ჩამოყალიბდა დიდი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ინტელიგენცია, რომელიც, რადგან იმპერიის განაპირას ცხოვრობს, ერთგვარი თავისუფლებით სარგებლობს. სულიერი კულტურის იმ დარგებში, რომლებიც იდეოლოგიის გავლენას განიცდიან, იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იმპერიის სააზროვნო ჩარჩოში ტრიალებს და ხელს უწყობს მის მოდერნიზებას, იქმნება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის" მითი და ჩნდება რწმენა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებები სოციალიზმის დამახინჯებებია მხოლოდ და არა მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი.

ქართული სააზროვნო და სამოქმედო არეალი იმპერიის ფარგლებშია ჩაკეტილი. ამ დროს ნათქვამი, ყბადაღებული, „საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო", საოცარი სიზუსტით გამოხატავს არსებულ ვითარებას.

სწორედ ამ პერიოდში ხელისუფლების სათავეში მოდის უნიჭიერესი პიროვნება, რომლის ნიჭიც იმაში გამოიხატება, რომ ზედმიწევნით კარგად ეხერხება მისი თაობიდან ნალების მოხდა. მან ძალიან კარგად იცის მის გარშემო მყოფი ადამიანების შესაძლებლობები და ყოველ მათგანს თავისი მიზნებისათვის შესანიშნავად გამოიყენებს.

მაგრამ რა შეუძლია ამ თაობას და თვით მის ლიდერსაც? — როგორადაც ნიჭიერებიც არ უნდა იყვნენ, თავის თავს ვერ გადაახტებიან. ისინი მონობაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. ამდენად, მათი რაციონალურ-ათეისტური მსოფლმხედველობა იმპერიული აზროვნებითაა ინტეგრირებული და „ჰუმანურ სოციალიზმს" ვერ გასცდება. ეს ამ თაობის ტრაგედიაა.

მაგრამ ტრაგედიის გაცნობიერებამდე ჯერ კიდევ შორსაა. ქართული გენის ნაწილებს კვლავ დიდ ასპარეზზე გასვლა სწყურია და საქართველოში იწყება არნახული ექსპერიმენტი, რომელსაც მთელი იმპერია უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს. საქართველო ხდება აღტაცების, მიბაძვისა და ზოგჯერ სიძულვილის საგანიც. ქართული მწერლობის პატრიოტული პათოსი უკვე აღარ ისმის. იგი იმპერიის მოდერნიზებისათვის ბრძოლაში იჩქმალება, მაგრამ სამაგიეროდ ჩნდება სოციალიზმისა და დემოკრატიის შეთავსების ილუზია.

საბოლოოდ, საქართველოში ჩატარებული ათწლიანი ექსპერიმენტი იმპერიის მოდერნიზების ერთადერთ გზად ისახება. უკვე მთელ იმპერიაში იწყება იმის განხორციელება, რაც საქართველომ გაიარა. დასავლეთგერმანელი სოციოლოგები, დაიწყებენ რა გლასნოსტისა და პერესტროიკის ძირების ძიებას, მის საფუძვლებს საქართველოში, ხოლო ამ სიტყვებს ქართველი მეცნიერის მიერ 1976 წელს დაწერილ შრომაში აღმოაჩენ[illegible].

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ისტორიაში [illegible]აა, რომ საქართველოში ექსპე[illegible]ენტი გამარჯვებით არ დასრულებუ[illegible]ა. პირიქით, მან სრული კრახი [illegible] იცადა. 1984 წელს თვითმფრ[illegible]ავის გატაცების ინციდენტი [illegible]სხლიანი ანგარიშსწორება იყო [illegible] ექსპერიმენტის ლოგიკური და[illegible]ული. ამ მხრივ ეს ფაქტი იმავე [illegible]ანგის მოვლენაა, როგორც ლი[illegible]ს 1991 წლის იანვრის ტრაგედია.

მაგრამ 1984-ში ამას ვერავინ ხვდება. სოციალიზმის, როგორც იმპერიის ფუნდამენტის გადამრჩენელი ექსპერიმენტის, ავტორი მოსკოვში გადაჰყავთ, რათა გულმოდგინედ გაამაგროს ლიბომორყეული დერეფანი [illegible] ამით თავისი ქვეყნის ხელახალ [illegible]ქაბალებას შეუწყოს ხელი. მაგ[illegible]ის ყოფნას იმპერიის ცენტრში [illegible]ართლება ესაჭიროება ერის წინაშე და იქმნება ისლამური საფრთხის გამო რუსეთთან ჩვენი ყოფნის შეუძლებლობის დოქტრინა, რომელსაც საქართველოში დარჩენილი მისი მეგობრები გულმოდგინედ ნერგავენ.

გარდაქმნის პერსპექტივების განხილვა ალბათ საჭირო არ არის, მაგრამ დღეს ცხადი ხდება, რომ იმპერიის მასშტაბითაც მოდერნიზების ექსპერიმენტი მარცხით უნდა დამთავრდეს. მისი არქიტექტორი უკვე თავის საქმეს ჩამოშორებულია, შესაძლოა დროებით, რადგანაც დემოკრატიულმა ცენტრიდანულმა ძალებმა ზომაზე მეტად აიშვეს თავი და მათი მოთოკვა გახდა საჭირო. ამ მიზეზით შევარდნაძისეული „დემოკრატიული სოციალიზმის" გზა ამჟამად უარყოფილია, მყარდება დიქტატურა, როგორც იმპერიის გადარჩენის უკანასკნელი იმედი. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს დიქტატურა დროებითია და მას სავსებით გააზრებული გეგმა უდევს საფუძვლად. როგორც ჩანს, ამ დიქტატურით დაშინების ერთ გაკვეთილს ჩაატარებენ, შემდეგ კი დემოკრატიული ძალების საპასუხო რეაქციით თავგახურებულ რეტროგრადთა დიდ რაოდენობას საბოლოოდ ალაგმავენ. ამის შემდეგ ალბათ დაუბრუნდებიან იმპერიის გარდაქმნის ძველ საქმეს.

თუ რა მოხდება მომავალში, ეს მხოლოდ არსთაგამრიგემ იცის. ისტორიაში ღვთაებრივი მიზანშეწონილობა იმაში ვლინდება, რომ იგი საბოლოო ჯამში არ მიმდინარეობს გონიერი პოლიტიკოსების მიერ დაწყობილი გეგმის მიხედვით. მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გეგმის არსებობა აუცილებლად დადასტურდება.

მოკლედ, აქამდე წარმოებული მსჯელობის საფუძველზე მინდა ვთქვა, რომ ამჟამად იმპერიაში მიმდინარე ხალხთა მასობრივი მოძრაობა ძირითადში მართვადია და ჩაყენებულია იმპერიის მოდერნიზების ფარგლებში. თუ არ მოხდება ამ გეგმის გაცნობიერება და მის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა, იგი წარმატებით განხორციელდება. დიდი ხნის მანძილზე იმპერია კვლავ თავის ფარგლებში დარჩება, რესპუბლიკებს ჯაჭვს ალბათ დაუგრძელებენ, მაგრამ საბოლოოდ ისინი რუსეთის სატელიტი ქვეყნების ბედს ვერ აიცდენენ. ესაა ჩვენი მამების თაობის და მათი მესიტყვის მიერ საქართველოსთვის გამზადებული მომავალი. თუ ობიექტური ვიქნებით, მათ გულწრფელად სწამთ, რომ უფრო მეტის მიღწევა საქართველოს არ შეუძლია და თავიანთი ქვეყნის ყველა შესაძლებელზე უკეთესს უმზადებენ ჩვენს სამშობლოს.

მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე არ არის და საქართველოში გაჩნდნენ ძალები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ, მოქმედებენ და იმედოვნებენ.

ცნობილია, რომ 1985 წელს მთელ იმპერიაში დაწყებულ გლასნოსტსა და პერესტროიკას საქართველო საოცარი დუმილით შეხვდა. პირიქით, პერესტროიკის ინიციატორ ქვეყანაში პატიაშვილის პროვინციული დიქტატურა დამყარდა. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან საქართველო ფაქტიურად გამოწურული ლიმონივით იყო და მის ინტელექტუალურ ელიტას არაფერი ჰქონდა სათქმელი, რაც ახალ იმპულსებს მისცემდა ერის განვითარებას.

მაგრამ სულ მალე საქართველოში ასპარეზზე ახალი ძალა გამოვიდა. ეს არის ახალი თაობა, რომელიც სულიერად ქართული მწერლობიდან მოდის. როგორც ითქვა, ქართული მწერლობა ყველაზე ნაკლებად იყო ინტეგრირებული იმპერიული აზროვნებით და ამიტომ ეს თაობა იმპერიისაგან სულიერად განთავისუფლებული თაობაა და ისწრაფვის თავის ერს სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვოს. თუ როგორი საქართველო უნდათ, ეს ჯერჯერობით ბოლომდე რაციონალურად გააზრებული არა აქვთ, მაგრამ ის კი ძალიან კარგად იციან, თუ რა არ სურთ. ამიტომ იწყებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და ეს ბრძოლა ქრისტეს რწმენის შუქით არის განათებული. თავისუფლების პირველი გემო ამ თაობამ 1978 წლის 14 აპრილს იგემა, რომლის ავტორიცა და წინამძღოლიც მხოლოდ თვითონ იყო. წინა თაობამ იმ დღეს პირველად შეირცხვინა თავი და თავისსავე გაზრდილი შვილებისა და სიტყვების შეეშინდა. ეს შიში ამ თაობას ბოლომდე გაყვება.

ბოლო ორი წლის მანძილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასობრივი გაშლა მხოლოდ ამ თაობის დამსახურებაა. ყველა დიდი აქცია, რომლებმაც ფაქტიურად ერთი ხელის მოსმით გაანადგურეს ძველი, დანავსებული სოციალისტური სტერეოტიპები. ახალი ძალების მიერ [illegible] მოძრაობა პოლიტიკურ [illegible]ნითაა ორგანიზებული და სულ მალე საქართველოს ყოველ კუთხეში ამ ძალებს, რომლებიც ძირითადად — ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ხოლო პერსონალურად გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის და თამარ ჩხეიძეს სახითაა წარმოდგენილი, მთელს საქართველოში უჩნდებათ მომხრეები. ხალხის მთელი სოციალური მოძრაობის წარმმართველები სწორედ ისინი არიან და ეს მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად ინათლება.

სამწუხაროდ, ახალგაზრდობის გამო ქართველი ერი არ ენდო ამ თაობას. ამიტომ გაისმოდა ასე ხშირად ჩვენს მიტინგებზე „სად არის ჩვენი მწერლობა", „სად არის ჩვენი ინტელიგენცია"? თუმცა ამ ახალგაზრდებში მრავლად იყვნენ მწერლებიცა და ინტელიგენტებიც. სწორედ ამის შემდეგ მოვიდნენ მასობრივ ეროვნულ მოძრაობაში ინდივიდუალურად მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. არც ერთი მათგანი არავითარ პოლიტიკურ ძალას არ ეყრდნობოდა. ბატონი მერაბი საერთოდ უარყოფდა ყოველგვარ პარტიას, ხოლო ჰელსინკის კავშირი თანამოაზრეთა მცირე ჯგუფს წარმოადგენდა. ისინი დისიდენტური მოძრაობიდან მოვიდნენ, მაგრამ ახალი თაობა უკვე უფრო შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა. ბატონი მერაბის სიტყვები „ჩვენ მივაღწევთ მრავალპარტიულ არჩევნებს", ამას მკაფიოდ ადასტურებს. სხვათა შორის, ბატონ მერაბს ახალი თაობის უპირატესობა მკაფიოდ ჰქონდა გაცნობიერებული, მათ წინამძღოლობას თვითონვე აღიარებდა და ახალი თაობის ლიდერებზე აუგის თქმას არავის აპატიებდა. ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ბედნიერება ამაში თვითონვე არაერთხელ დარწმუნებულიყო.

ამრიგად, 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში გაიშალა უზარმაზარი მოძრაობა. მთელი საქართველო აბორგდა, ახალი თაობა ამაყად აფრიალებს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვან დროშას და ყველა გაჭირვების პანაცეად ეროვნულ დამოუკიდებლობას სახავს. ერიც ერთხმად მიჰყვება მათ და ამ ერთსულოვნებაში საოცრად ჩანს ჩვენი დაღლილი უფროსი თაობის დუმილი.

მაგრამ რამდენად ერთგვაროვანი და ერთსულოვანია ეს მოძრაობა? ნუთუ მთელი ერი ისე მომწიფდა, რომ ეროვნული თავისუფლების იდეისათვის მზად იყო სიცოცხლე შეეწირა?

ყველა სახის მოძრაობა, მათ შორის ეროვნულ-გამათავისუფლებელიც, გარკვეულ სოციალურ ძალებს ემყარება. რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე მითითება სრულებითაც არ არის მარქსიზმის პრეროგატივა. მხოლოდ ეგ არის, მარქსიზმში ამას დიდი ყურადღება ექცევა. მოდით, ჩვენც ჩავიხედოთ უფრო ღრმად ეროვნული მოძრაობის სოციალურ ძირებში.

ინდოეთის მძლავრ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას კონკრეტული მამოძრავებელი ძალა ჰყავდა — ეს იყო ინდოეთის ბურჟუაზია, რომელიც ინგლისის კაპიტალის უძლიერეს დაწოლას განიცდიდა და დაინტერესებული იყო მისგან განთავისუფლებით. ამ შემთხვევაში სოციალური ინტერესი ემთხვეოდა ეროვნულ ინტერესს და ეს ვითარება უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ინდოეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამდენად, ინდოეთში მოხდა ერის სოციალური და ეროვნული ინტერესების გაერთიანება. ამან საბოლოოდ განაპირობა ინდოეთის განთავისუფლება. მოჰყვა თუ არა ეროვნულ თავისუფლებას სოციალური თავისუფლება, ეს სხვა საკითხია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა შეძლეს სოციალური ბრძოლის მომენტის ორგანულად ჩართვა ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რას ეყრდნობა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა? რომელ ფენას ან ჯგუფს საზოგადოებისას? ფაქტობრივად არც ერთს ისეთს, რომელსაც რაიმე სერიოზული ძალა გააჩნია.

ქართული ბიზნესი (ჩვენ ვთვლით, რომ თავისთავად კარგ სიტყვა ბურჟუაზიას მარქსისტულმა პროპაგანდამ უარყოფითი ღირებულება შესძინა. ამიტომ ჯერჯერობით ვამჯობინებთ სიტყვა ბიზნესის ხმარებას) არ განიცდის რუსული კაპიტალის ზეგავლენას, პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დაინტერესებულია რუსეთის ბაზრით, რადგანაც სხვაგან მისი პროდუქცია გასაღებას ვერ ჰპოვებს. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, ჩვენ ასე თამამად რომ ვლაპარაკობთ ქართულ ბიზნესზე, მაგრამ იგი არსებობს, მართალია, დღემდე არალეგალურად, მაგრამ სულ მალე იჩენს თავს. სხვა სოციალური ფენები, ინტელიგენცია, მუშები და გლეხები ეროვნულ დისკრიმინაციაზე მეტად სოციალურ უსამართლობას განიცდიან. კომუნისტური ტოტალიტარიზმი ინტელიგენტს შემოქმედების თავისუფლებას უზღუდავდა: მუშას, მთელი პროპაგანდისტული ტრიუკების მიუხედავად, ჰანჭიკად აქცევდა, ხოლო გლეხს მასობრივი გაპროლეტარებისა და გაუპიროვნებულობისაკენ უბიძგებდა. ამიტომ, სამივე ამ ფენისათვის ეროვნულ თავისუფლებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია სოციალური თავისუფლება და ისინი ძირითადად კომუნისტური ტოტალიტარული წყობის წინააღმდეგ არიან ამბოხებული.

ამდენად, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს ეს, დღეს საქართველოში არცერთი სოციალური ფენა არ არის დაინტერესებული ეროვნული თავისუფლებით. მაშ როგორ არსებობს ეროვნული მოძრაობა?

დღევანდელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენს საუკუნეთა მანძილზე ჩაუმქრალ და ახალი თაობის მიერ აღორძინებულ ქართულ სულს, იდეას, რომელიც მხოლოდ ახლაღა ლამობს ხორცშესხმას. დღეს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა არის რომანტიკული მოძრაობა, რომელსაც საქართველოში ამჟამად არავითარი რეალური სოციალური საყრდენი არ გააჩნია, მაგრამ არსებობს როგორც ქართული გონის მოთხოვნილება. ახალი თაობა ინსტინქტურად გრძნობს ერის მომავალ მაჯისცემას და თავის მოქმედების საყრდენს ქრისტიანული რწმენით განათებულ ღვთის სიყვარულში ხედულობს.

ამდენად, ეროვნული მოძრაობა საქართველოში არსებობს აუცილებლად განხორციელებადი ჯვრისის საფუძველზე. ეს არის ის ხაზი, რომლისკენაც უახლოეს აწმყოში უნდა მიიმართოს ქართველი ერის განვითარება. თავისი ბუნებით იგი ირაციონალურია და ამდენად სრულიად გაუგებარი რაციონალიზმსა და ათეიზმზე აღზრდილი წინა თაობისათვის.

როგორც ითქვა, საქართველოში უკვე არსებობს საკმაოდ განმტკიცებული მეორე მიმართულება, რომელიც წინა თაობის საბოლოო სიტყვას წარმოადგენს და იმპერიის მოდერნიზების ფარგლებს ვერ სცილდება. იგი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა ახალი ქართული აზროვნებისა და ამიტომაცაა, რომ ახალ თაობას, მართალია გაუცნობიერებელი, მაგრამ საოცარი სიძულვილი აქვს ამ ზაზის არქიტექტორის მიმართ.

1988-90 წლებში თავისი პოზიცია ახალმა თაობამ მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით გამოხატა. საქართველოში ზედიზედ მოეწყო მთელ იმპერიაში არნახული აქციები — მჯდომარე გაფიცვები და მასობრივი შიმშილობები. იმპერია შედრკა ასეთი შეუპოვრობის წინაშე და მის წინააღმდეგ შიშველ ძალას მიმართა.

9 აპრილის ტრაგედიამ ვერ შეაკრთო ახალი თაობა, იგი უფრო მეტი მსხვერპლისთვისაც იყო მზად, მაგრამ ყველა სხვა ძალებისათვის ეს მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, აქ გამოჩნდა პირველად, რომ ეროვნული მოძრაობა ერთგვაროვანი არ იყო. სწორედ ამ დროს საქართველოში ჩამოდის იმპერიის მოდერნიზების ავტორი და შეეცდება, თავის მიერ დატოვებულ ძალებს ახალი იმპულსები მიანიჭოს. ამის შედეგად ძველი თაობაც მოდის გონს, იგიც იღებს ხმას და მთელი მოძრაობა ნელნელა ეშვება ცენტრიდან შემოთავაზებული საბჭოური პარლამენტარიზმის გზაზე, რომელსაც პირდაპირ მივყავართ მოდერნიზებული იმპერიისაკენ.

ახალი თაობა გასაოცარ პოლიტიკურ გამჭრიახობას იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი უბიძგებს მას პარლამენტარიზმისაკენ, მარტის არჩევნებში იგი მედგრად იგერიებს ამ შემოტევას. სამწუხაროდ, ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების სატყუარას ბზარი შეაქვს ეროვნულ მოძრაობაში და მისი ერთი ნაწილი გადაწყვეტს არჩევნებში მონაწილეობას. მართალია, ეს ეროვნული მოძრაობის მცირე ნაწილია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას სათავეში უდგას ზვიად გამსახურდია, რომელსაც კომუნისტურ ტოტალიტარიზმთან ბრძოლით ერში უდიდესი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი. იგი ახალ თაობას დროშად ჰყავდა აფარებული მხოლოდ იმიტომ, რომ ერი ამ თაობას მისი ასაკის გამო ბოლომდე ვერ ენდობოდა. გასაკვირი არ არის, რომ ხალხმა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მზად ახალი თაობის იდეების გასაზიარებლად, უმალ აქცია ზურგი იმათ, ვინც ორი წლის მანძილზე თავისი სისხლითა და ოფლით ზიდა ეროვნული ბრძოლის მთელი სიმძიმე. 28 ოქტომბერი ეროვნული მოძრაობის უდიდეს გამარჯვებად მოინათლა, თუმცა გამარჯვებულთა დიდ ნაწილს ორწლიან რეალურ ბრძოლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

ვწერ ამას და უკვე ვხედავ აფორაჯებულ სახეებს — მაშ რა მოხდა 28 ოქტომბერს? კვლავ ხმამაღლა ვიტყვი: მოხდა სოციალური მოძრაობისა და იმპერიის მოდერნიზების გეგმის გამარჯვება, რომლის დროზე გაცნობიერება უზენაეს საბჭოს სინდისზე იყოს. მართალია, უზენაესი საბჭო დღეს მწარედ კბენს იმპერიის მოდერნიზების გეგმის არქიტექტორს, მას კი მათთვის თავისი ბასრი კლანჭები შიგ გულში აქვს მტკიცედ ჩაჭიდებული.

ვიცი, არ დამიჯერებენ, მაგრამ ადრინდელი დიდი პატივისცემა მავალდებულებს, შევთავაზო ჩემს ყოფილ მეგობრებს, თუ როგორ მესახება ლევიათანისაგან თავის დაღწევის ერთადერთი შესაძლებლობა: ესაა პოლიტიკური შეცდომის აღიარება, უზენაესი საბჭოს თვითმმართველობის ორგანოდ გამოცხადება, საქართველოსათვის მისი რეალური სტატუსის მინიჭება და ეროვნული კონგრესის აღიარება ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ძალად. ცხადია, იმპერია ამას არ გვაპატიებს და უცილობელ სასჯელს მოგვივლენს, მაგრამ ამ შემთხვევაში გმირის სახელი და ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერა გარანტირებულია. ახალი, მესამე გზის ძიებას იმპერია არ დაუშვებს და იგი ტრაგიკულად დამთავრდება.

ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერები ცდილობენ, სოციალური მოძრაობა ეროვნულისადმი დაიქვემდებარებინათ. მათ ვერ შეძლეს ეს და აქ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი გადამწყვეტი აღმოჩნდა, ისტორია გამოაჩენს, თუ როგორი მოტივები ამოძრავებდა მას ამ ნაბიჯის გადადგმისას, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგები ეროვნული მოძრაობისათვის სავსებით უეჭველია.

ამდენად, მასობრივი ეროვნული მოძრაობის დამწყები ახალი თაობა 1990 წლის შემოდგომაზე ფაქტობრივად დამარცხდა. ეს, ალბათ, კანონზომიერი მოვლენა იყო. თუმცა, ღმერთმა საბოლოოდ მაინც არ გაწირა იგი. ვფიქრობ, ეროვნული კონგრესი აღმოჩნდება ის ნოეს კიდობანი (გამოთქმა ეკუთვნის გიორგი ჭანტურიას), რომელმაც უნდა გადაარჩინოს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა.

დღეს კი ეროვნულ მოძრაობას უმძიმესი დღეები უდგას. სოციალურ საკითხებს გამოდევნებულმა მასამ თავისი სარბიელი ნაჩა და ლამისაა, თავის თავგანწირულ შვილებს ერის ღალატში დასდოს ბრალი. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს". ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, შეცდომები გასათვალისწინებელი, რომანტიზმი რეალობით შესაცვლელი. ამ საქმეს მთელი თაობის გაერთიანება და ძალისხმევა [illegible] შეძლებს კი ჩვენი [illegible]

P. S. ძალიან მინდა ეს წერილი წინა თაობამ შეურაცხყოფად არ მიიღოს. აქ ლაპარაკია ძირითად ტენდენციებზე. რაც არ გამორიცხავს გამონაკლისების არსებობას. რაც მთავარია, არ მინდა. უმადური ვიყო — სწორედ ჩვენმა მამებმა. თავად წყვდიადში ჩაფლულებმა. თავისი თვითგვემით გაანათეს თავისუფლების სანუკველი ნაპირი. იქამდე მიღწევა უკვე ჩვენი თაობის საქმეა. ამ ბრძოლაში კი ხელის შემშველებას დიდი მადლიერებით მივიღებთ.

## რედაქციის მინაწერი

**ბატონი** თემურ ფიფია არ გახლავთ ერთადერთი ავტორი, რომელიც ზემოთ წარმოდგენილ წერილში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს გვთავაზობს. სამწუხაროა, რომ მის უარყოფით დამოკიდებულებას 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების მიმართ, მომხრეც არა ერთი და ორი ჰყავს.

თემურ ფიფია უფრო შორს მიდის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ბატონ მერაბ კოსტავას დიდი წვლილის ნაწილობრივ ნიველირებასაც ახდენს.

„ზვიად გამსახურდია ახალ თაობას დროშად ჰყავდა აფარებული მხოლოდ იმიტომ, რომ ერი ამ თაობას მისი ასაკის გამო ბოლომდე არ ენდობოდა"ო, — წერს იგი. ასეთი მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვათ, უსამართლობაა.

ჩვენ არ მოვრიდებივართ და არც მოვერიდებით უზენაესი საბჭოს, მისი რომელიმე წევრის თუ თვით ზვიად გამსახურდიას კრიტიკას, თუკი კრიტიკა სამართლიანი იქნება და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ კრიტიკა კონსტრუქციულიც უნდა იყოს. ახე სჯობია საქართველოსთვის. ერთი ანდაზისა არ იყოს, კაცს შაური რომ დაუწუნო, უზალთუნი მაინც უნდა უჩვენო.

ვერ უნდა დავუშვათ ის, თითქოს საქართველოს უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე შეგნებულად თუ შეუგნებლად კრემლის სცენარით მუშაობენ. ამის თქმაცა და ფიქრიც მკრეხელობაა.

ყოველგვარ მთავრობას, თუნდაც ეროვნულს, თავისი ცოდვებიც ყოფნის და მას ხელოვნური ბრალდებებით ნუღარ გავურთულებთ საქმეს.

დაბოლოს, თ. ფიფია წერს: „სამწუხაროდ, ახალგაზრდობის გამო ქართველი ერი არ ენდო ამ თაობას, ამიტომაც გაისმოდა ასე ხშირად ჩვენს მიტინგებზე: „სად არის ჩვენი მწერლობა", „სად არის ჩვენი ინტელიგენცია?..." სწორედ ამის შემდეგ მოვიდნენ მასობრივ ეროვნულ მოძრაობაში ინდივიდუალურად მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია". — განა ამის მტკიცება უსამართლობა არ არის? მწერლის პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ, ჩვენ ყველანი, ვინც 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში მოვედით ეროვნულ მოძრაობაში, გამსახურდიასა და კოსტავას შინელიდან ვართ გამოსულნი. ეს არის ფაქტი, რომელიც უნდა ვაღიაროთ.

ახე რომ, აკრიტიკეთ ერთურთი, მაგრამ ღვაწლსა და ღირსებასაც ნუ დავუკარგავთ ერთმანეთს ნურც ერთი მხარე და ნურც მეორე. ნურც კონგრესი და ნურც უზენაესი საბჭო. რადგან, ბატონი თემურისა არ იყოს, „ზნეობაა ადამიანებისათვის ღმერთისაგან მინიჭებული უპირველესი ღირებულება და არ შეიძლება მისი დარღვევა რაიმე მიზანმა, თვით ერის ინტერესებზე აპელირებამ გაამართლოს".

---

## საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობას

## საქართველოს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებს

## ასლი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

**28 თებერვალს** ორჯერ გადაიცა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობის განცხადება, რომელშიც შეფასებულია ბატონ აკაკი ბაქრაძისა და ბატონ ვალერიან ადვაძის სატელევიზიო გამოსვლები. ამ განცხადებაში აღინიშნა, რომ აკაკი ბაქრაძის გამოსვლამ გამოიწვია არა მარტო ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილისა და რამდენიმე წერილის ავტორთა გულისწყრომა, არამედ ლამის სრულიად საქართველო აღაშფოთა.

ტელევიზიის ხელმძღვანელობა უკვე მერამდენედ მოაგონებს ქართველ ხალხს, რომ უზენაესი საბჭო არა სხვა ვინმემ, არამედ ქართველმა ხალხმა აირჩია, თითქოს, ეს საეჭვო იყოს! საჭიროა, მას მხარში ამოვუდგეთო. განცხადების ავტორს, თუ ავტორებს, რომელთაც გვარ-სახელად „ხელმძღვანელობა" ჰქვიათ, მიაჩნიათ, რომ ბატონ ვალერიან ადვაძის გამოსვლამ შეიძლება შეიარაღების გუნებაზე დააყენოს ახალგაზრდობა და გამოიწვიოს პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია.

ნება მოგვეცით, გკითხოთ, ბატონო „ხელმძღვანელობავ", განა მოწოდება ეროვნული თანხმობისაკენ, განა მოწოდება დიალოგისაკენ, პრესის თავისუფლებისაკენ, რომლითაც გამსჭვალული იყო აკაკი ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი ინტელიგენციის მიმართვა, ან განა ვალერიან ადვაძის ცდა უსამართლო თავდასხმებისაგან დაეხსნა იგი, დესტაბილიზაციისაკენ იყო მიმართული?

საქართველოს მტრები აკლია, ბატონო ტელევიზიის „ხელმძღვანელობავ", რომ ბაქრაძის, ადვაძის და სხვათა სახით კიდევ მტრები ვეძებოთ? თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორ თანდათანობით „ხედნით" მაყურებლის სმენას, თითქოს, გარშემო მხოლოდ ერის მოღალატეები და კრემლის აგენტები არიან? ასე ბოლშევიკები ეძებდნენ ხალხის მტრებს და მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტებს! არ გეცნობათ ოფიციალურ ტელევიზიაში და ოფიციალურ პრესაში ატეხილი „მუშურ-გლეხური" კამპანია ინტელიგენციის წინააღმდეგ? აქედან ხომ ერთი ნაბიჯი რჩება ამბროსი კათოლიკოსის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ევგენი მიქელაძის, სანდრო ახმეტელისა და სხვათა მოკვლამდე! ხოლო დიქტატურამდე ის ერთი საბედისწერო ნაბიჯიც აღარაა დარჩენილი!

ბატონო ტელევიზიის „ხელმძღვანელობავ", თქვენ ბრძანებთ, რომ „ვერ გავეხვევით პოლიტიკურ თამაშში" და ამავე დროს პოლიტიკურ შეფასებას აძლევთ, უფრო მეტიც, პოლიტიკურ პორტრეტებს ხატავთ არასაიმედო, ამბიციებით განმსჭვალული ინტელიგენტების, და აფრთხილებთ ხალხს, ნუ ენდობით ქრისტიანული მიმტევებლობით შენიღბულ მოწოდებებს ეროვნული თანხმობისაკენ, მათ სულ სხვა რამ უდევთ გუნებაშიო. თქვენმა უმრავლესობამ ხომ უზენაეს საბჭოს მიეცით ხმა და ამიტომ ისინიც და მათს უკან მდგარი უმცირესობა მოიკვეთეთო. ბოლშევიკებიც „პროლეტარიატის დიქტატურას" უწოდებდნენ ვითომც უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე და კარგად მოგეხსენებათ, რა დღეში ჩააგდო ამან სწორედ უმრავლესობა!

და ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ პოლიტიკაში არ ერევით? არა თუ ერევით, არამედ პირდაპირ პოლიტიკური პარტიის ფუნქციას ასრულებთ!

თქვენ სარგებლობთ არა მარტო იმით, რომ შეგიძლიათ შეარჩიოთ გამომსვლელებიც და მათი ტექსტებიც, გარკვეული და ერთმნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვით წარმართოთ გადაცემები, არამედ ოფიციოზისგან განსხვავებულ ყოველ აზრს, თუკი ასეთი რამ თქვენდა უნებურად „გაიპარა" ეთერში, თქვენი შეხედულებით „გამანადგურებელ", მაგრამ არსებითად დემაგოგიურ კომენტარს ურთავთ, სარგებლობთ რა საბოლოო, შემაჯამებელი სიტყვის ბატონკაცური უფლებით.

რატომ აყენებთ შეურაცხყოფას ქართველ ხალხს, რატომ „ულაჯავთ" თქვენებურად გაგებულ „ჭეშმარიტებას", რატომ გგონიათ, რომ განსხვავებული აზრებიდან იგი სწორ არჩევანს ვერ გააკეთებს? ხომ გააკეთა ხალხმა არჩევანი 28 ოქტომბერს, რატომ არ შეუძლია იგივე თებერვალ-მარტში? თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, სხვაგვარად ფიქრობთ?

არავისა აქვს უფლება, მონოპოლიას აცხადებდეს სამშობლოს სიყვარულზე, არავისა აქვს უფლება, ხალხზე უფრო ბრძენად წარმოიდგინოს თავი, თუნდაც ხალხის რჩეული იყოს, ვერც ჩვენ მივცემთ თავს უფლებას, ხალხის სახელით ვილაპარაკოთ, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია შეუცდომლად ვთქვათ: ხალხს არავინ უნდა მოუსპოს საშუალება, თვითონ განსაჯოს ვინ არის ძე წრფელი და ძე შეცთომილი.

ის, რაც ტელევიზიაზე ითქვა, მთლიანად ეხება მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებსაც. დღეს ჩვენს რესპუბლიკას ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი ხელმძღვანელობს. ნუთუ ეს არაფერს გვეუბნება, რომ უნდა ვახორციელებდეთ ადამიანის უფლებათა დაცვის მე-19 მუხლის მოთხოვნებს, რომელიც გამორიცხავს ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრის გამოდევნას და აკანონებს საკუთარი შეხედულების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას?

შეიქმნა საშიშროება, რომ ქართული ტელევიზია და პრესა შეიძლება გახდეს „უფროსი მოსკოველი ძმის" კვალს, საბჭოურ ოფიციალურ პრესას, რომელიც ლენინის განსაზღვრებით არის „არა მარტო მასობრივი აგიტატორი, არამედ მასობრივი ორგანიზატორიც". რის „ორგანიზებას" აპირებს ჩვენი პრესა — ავტორიტარული მმართველობის, საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების თუ ეროვნული თანხმობისა?

კარგად გვესმის, რომ ჩვენი მოწოდება მასობრივი ინფორმაციის მესვეურებზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, თუ ხმა არ მიწვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. აზრთა პლურალიზმისათვის საინფორმაციო არხების დახშობა იწვევს არა სტაბილიზაციას და კონსოლიდაციას, არამედ საზოგადოების გათიშულობას, რამაც დაღუპვის პირამდე შეიძლება მიიყვანოს ეროვნული მოძრაობა.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის პარლამენტს, მასობრივი ინფორმაციის ხელმძღვანელებს, ყველა პოლიტიკურ პარტიას კონსტრუქციული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული დიალოგისაკენ და ამ მიზნით მოვითხოვთ [illegible]

1. ტელევიზია, რადიო და პრესა პირუთვნელად ასახავდეს საზოგადოების ყოველი ფენისა და პოლიტიკური პარტიის აზრსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს;

2. მოხდეს უზენაესი საბჭოს ყოველი სხდომის სრული ტრანსლაცია საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი. ხალხს არ უნდა სჭირდებოდეს დეპუტატთა დაგვიანებული კომენტარები პარლამენტის სესიის მიმდინარეობაზე;

3. ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრისა და პოზიციისათვის, თუ იგი საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, შანტაჟი, პოლიტიკური დამღების მიკერება და ადმინისტრაციული ზემოქმედება კანონით აიკრძალოს.

მხოლოდ ეს არის გზა დემოკრატიისაკენ!

მხოლოდ ეს არის გზა ეროვნული თანხმობისაკენ!

მხოლოდ ეს არის გზა თავისუფლებისაკენ!

**ზაზა ამირეჯიბი, მზია ბაქრაძე, ირაკლი ბერიაშვილი, გოგი ბეგეშკორი, მანანა გიგინეიშვილი, ნაირა გელაშვილი, რომან მიმინოშვილი, კოტე მახარაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, ნანა მჭედლიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, მანანა კობახიძე, ზურაბ კიკნაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, გურამ სალარაძე, ვახტანგ ბოზუაძე, ვახტან რურუა, ლაშა თაბუკაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ვახტანგ ჭიჭინაძე, სოფიკო ჭიაურელი, თეიმურაზ ქორიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, იორამ ქემერტელიძე, გურამ ყორანაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ნიკო ჯავჯავაძე, ჯემალ ქარჩხაძე, ანზორ ერქომაიშვილი...**

იმედი ჯახუა

# ისევ პაატა...

ერთი წლის წინ, ღამით, ოსი ექსტრემისტის ტყვიამ აკვანში განგმირა ცხრა თვის პაატა წიქორიშვილი, დედით ოსი...

ქართველი მტრის ჯავრს ქარს არ
გაატანს!
გაჰკივის დედოზარი განგაშის.

— წუხელ აკვანში მოჰკლეს პაატა!..
ცხრა თვის პაატა მოჰკლეს აკვანში!..

რა ვერაგულმა დაჰკრა საათმა!..
დღეს ყველა ქართველ დედას
თმაგაშლილს
წიქორიშვილი ბიჭი პაატა
შუბლგასისხლული უწევს აკვანში...

ის არც მძევალი იყო ირანის,
ვერც უმუხთლებდა მას შაჰ-აბასი...
მშობლიურ ჰერქვეშ ტკბილად მძინარი
ის „დედისძმებმა" მოჰკლეს აკვანში!..

ჯავრმა და ცრემლმა გამასავათა,
გულს ცეცხლში ახვევს რისხვის
კაშკაში...
აფერუმ!.. კიდევ ერთი პაატა
სისხლდანთხეული მზისფერ აკვანში!..

წყეულიმც იყოს აწ მტრის დამნდობი
ქართველი, დღემდის ყოვლის
მომთმენი!..
მწვავს შურისგების ცეცხლი დამდნობი,
პაატას დედის დარდის ოდენი!..
მტრის შებრალებაც იმ ცეცხლს დაადნა,

მტრის, გაწაფულის კვლაში ხავსში!..
ვინც ტყვიას ესვრის ყველა აკვანს,
ვინც ყველა ქართველს ესვრის აკვანში!..

ძრწოდე! — მახვილის ზურგში ჩამცემო,
გველო—გაზრდილო ქართლის უბეში!..
აწ ქართვლის ხმალმა უნდა გაცრემლოს
სისხლის აკვანში, სისხლის გუბეში!..

გეყო, რაც დღემდე სული მიწამლე.
სისხლი მწოვე და თავზე დაგისვი!
წყეულიმც იყოს ქართულ მიწაზე
შენი ხსენება და გასაგისი!..

# გქონდეთ „იმედის" იმედი

**ჩვენი კორესპონდენტი კობა ლიკლიკაძე ესაუბრა ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" თავკაცს, დათო ხომასურიძეს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.**



**— დათო, როდის შეიქმნა თქვენი ასოციაცია და რა პრინციპით ხელმძღვანელობდით?**

— ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი" 1989 წლის აგვისტოდან მოქმედებს. მისი შექმნა განაპირობა ეთნოკრიზისმა, რაც ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას მოჰყვა საქართველოში. მოგეხსენებათ ალბათ, რომ სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის მსვლელობის პერიოდში მოხდა ეთნოკონფლიქტი მარნეულის რაიონში. სწორედ მაშინ გაგვიჩნდა აზრი, რომ შეგვექმნა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის დაცვას და წინ აღუდგებოდა საქართველოს ხელმყოფთ.

ასე რომ, „იმედის" შექმნა თავად ვითარებამ გვიკარნახა.

ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპიც ეს გახლავთ: საქართველოს დაცვა. ამ პრინციპისათვის არ გვიღალატია არც მარნეულში, არც აფხაზეთში და არც სამაჩაბლოში, სადაც ეთნოკონფლიქტი ფაქტიურად ომში გადაიზარდა. მეტიც, ესაა სამაჩაბლოს ქართველი მოსახლეობის ნამდვილი გენოციდი. მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ საქართველოს ებრძვის არა ცალკეული ფანატიკოსი ექსტრემისტი, არამედ ცენტრი, რომელსაც სურს ყველანაირი საშუალებებით ჩაახშოს ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ და ამ მიზნის მისაღწევად იყენებს იგი გონებადაბნეულ ოსსა თუ სხვას. ვიმეორებ, ჩვენ გვესხმის ცრემლი, კბილებამდე შეიარაღებული იმპერია, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ერთიანობა და დამოუკიდებლობის შეუვალი რწმენა შეგვიძლია დავუპირისპიროთ. დღევანდელ ვითარებაში ქართველი ხალხის უპირველესი ამოცანაა საკუთარი თავის დაცვა, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერც ამას ვახერხებთ.

**— იარაღს „შავ ბაზარზე" იძენდით თუ სამხედროებს ართმევდით?**

— რაც შეეხება იარაღსა და სხვა აღჭურვილობას, გულწრფელად გეტყვით, რომ მამასისხლად ვყიდულობდით „შავ ბაზარზე" იმ თანხით, რასაც მოსახლეობა შემოწირულობის სახით გვიგზავნიდა. ასე რომ, ეს იყო ერთადერთი გზა იარაღის შოვნისა. არასდროს წაგვირთმევია ვინმესთვის რამე. თანაც, უნდა გითხრათ, რომ იარაღი გვქონდა მცირე რაოდენობით, სულ რამოდენიმე ცალი და ზოგიერთი მათ შორის საკმაოდ მოძველებული. ეს იარაღი თავისი ეფექტურობით შორს ჩამორჩება, მსოფლიო დონეზე რომ აღარაფერი ვთქვა, სამაჩაბლოში მოქმედი ოსი ბანდების ხელთ არსებულ შეიარაღებას.

ოდნავი სურვილიც არა მაქვს თავი უმანკო კრავებად წარმოგიდგინოთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ არც ვყოფილვართ „დახარბებული" იარაღის შეძენას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „იმედი" სპორტული ტიპის სამხედრო-პატრიოტული ასოციაციაა და მთელი ჩვენი ძალისხმევა სადესანტო-მოიერიშეთა პროფილით სწავლებაზე იყო მიმართული. ძირითადად უიარაღოდ ბრძოლის ელემენტებს ვსწავლობდით, ვეუფლებოდით ხელჩართული ბრძოლისა და აღმოსავლური ორთაბრძოლების ილეთებს. შარშან ზაფხულში შევასრულეთ სასწავლო-საპარაშუტო ნახტომები ბოლნისში „სარდასის" („დოსააფის") აეროდრომზე; ექსპედიციის სახით მოვიარეთ ჩრდილოეთ საქართველოს უღელტეხილები, შევადგინეთ სასაზღვრო რუქები. გავიარეთ სპეციალური მომზადება ტექნიკაში, ტაქტიკაში, სტრატეგიაში... ასე რომ, ჩვენ უფრო სამხედრო სწავლებაზე გვქონდა აქცენტი გადატანილი და ჩვენს უპირველეს მიზანს სამხედრო ხელოვნების დაუფლება წარმოადგენდა. ვინაიდან გვესმოდა, რომ რაც არ უნდა კარგი შეიარაღება გქონდეს, სამხედრო მომზადების გარეშე მას ფასი არა აქვს. თუმცა ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

არ იფიქროთ, რომ რაიმეს ვმალავდე. ასეც რომ იყოს და მართლა კბილებამდე შეიარაღებულები ვყოფილიყავით, განა ეროვნულ გვარდიაში შესულთ უფრო საამაყოდ არ გვექნებოდა ეს ფაქტი — იარაღიანი ხალხი შევედითო?

**— ვინ ხელმძღვანელობდა „იმედის" სამხედრო სწავლებას?**

— რაც შეეხება სამხედრო მომზადებას, მას ხელმძღვანელობდა მაღალი ჩინის მედესანტე, ათას ალაგან ნაბრძოლ-ნაომარი ჩეჩენი კაცი. ჯერჯერობით ამ ადამიანის ვინაობის დასახელებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ უფლება არა მაქვს ჩემი გულწრფელი მადლიერება არ გამოვხატო ჩვენი ხელმძღვანელის მისამართით. იგი საოცარი კეთილსინდისიერებითა და მოთმინებით ეკიდებოდა ჩვენი სამხედრო მომზადების საქმეს...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო ყველა ქართველ სამხედრო სპეციალისტს, რომ მხარში ამოუდგნენ ეროვნულ გვარდიას და ნუ დამალავენ ცოდნასა და გამოცდილებას. თავისუფლებისაკენ მიმავალ საქართველოს სჭირდება მეომარი, დამცველი და მათ უნდა აღზარდონ ისინი.

არადა, დასანანია, რომ ეს ადამიანები ჯერჯერობით ავლავ განზე იხედებიან.

**— ცნობილია, რომ „იმედი" ეროვნულ გვარდიაში შევიდა სტრუქტურული ერთეულის სახით. განმარტეთ, რას ნიშნავს ეს და ხომ არ იყო ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი შიშით, რომ „მთავრობის ხელი" თქვენც შეგეხებოდათ, როგორც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას?**

— მეორე შეკითხვით დავიწყებ. არავითარი შიში არ ყოფილა. მე ზემოთ უკვე ვახსენე, რომ „იმედის" შეიარაღება იყო მეტად უმნიშვნელო. ბოლოს და ბოლოს ჩავაბარებდით ამ იარაღს და მერე ან დავიშლებოდით, ან პოლიტიკურ ორგანიზაციას შევქმნიდით. მაგრამ ჩვენი წმიდათაწმიდა მიზანი იყო და არის საქართველოს დაცვა გარეშე ძალისაგან. ხოლო საქართველოს დაცვა კი ბრძოლისუნარიან, ძლიერ არმიას ძალუძს, რომლის ჩანასახადაც მიგვაჩნია ეროვნული გვარდია და რომელიც უნდა ემორჩილებოდეს საქართველოს მთავრობას. **საჭიროა ერთიანობა,** ერთიანი ძალებით ბრძოლა დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის.

ასე რომ, არავითარი შიში არ ყოფილა. იყო შეგნება და სურვილი საქართველოს დაცვისა. ერთი რამის თქმა კი შეიძლება, საქართველოს მთავრობის მოწოდებამ ერთიანობისაკენ, დააჩქარა ჩვენი გადაწყვეტილება ეროვნულ გვარდიაში შესვლის შესახებ. ამა წლის 3 მარტს ჩვენ მოვიწვიეთ „იმედის" II ყრილობა, რომელმაც მოიწონა ეს გადაწყვეტილება და, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ასოციაცია ეროვნულ გვარდიაში შევიდა სტრუქტურული ერთეულის სახით.

ნუ შეგაშინებთ სიტყვა „სტრუქტურული". ჩვენს შემთხვევაში ეს არის წმინდა სამხედრო ფუნქციის მატარებელი სიტყვა და, იგი არანაირ პოლიტიკურ ან სხვა რამ სტრუქტურას არ გულისხმობს. მე მოგახსენებდით, რომ „იმედი" სადესანტო-საიერიშო პროფილის შენაერთი არის-მეთქი. ეროვნულ გვარდიაში მას სწორედ ეს პროფილი შეუნარჩუნდა. ამას ვუწოდებთ სტრუქტურულ ერთეულს.

**— როგორ შეხვდა საქართველოს ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას?**

— ძალიან დიდი კმაყოფილებით. მართალი გითხრათ, სხვანაირ შეხვედრას არც ჩვენ მოველოდით. ვინაიდან საქართველოს მთავრობას კარგად მოეხსენებოდა ჩვენი ასოციაციის ბიოგრაფია და საქმიანობა, რომ ვემზადებოდით საფუძვლიანად და სერიოზულად მთელი ორი წლის განმავლობაში, რომ „იმედის" წევრთა დიდი უმრავლესობა სამხედრო მოვალეობამოხდილია ან უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ შესწავლილი სამხედრო საქმე, რომ გვყავს ავღანეთში ნაბრძოლნიც...

ასე რომ, თუ გადაჭარბებაში არ ჩამომართმევთ, შეიძლება ითქვას, რომ „იმედის" სახით ეროვნულმა გვარდიამ მომზადებული კადრები და საიმედო ძალა შეიძინა. მეტსაც ვიტყვი, პროფილის (სტრუქტურის) ფარგლებში ჩვენ წევრებს თავისუფლად შეუძლიათ წვევამდელების მომზადება და გვარდიაში ზოგიერთი „იმედელი" უკვე მეთაურიც გახდა...

**— რას იტყვი ეროვნულ გვარდიაზე? შეიძლება თუ არა ჰქონდეს ქართველ კაცს მისი იმედი?**

— ეროვნული გვარდია დღეს თოთო ბავშვს წააგავს, რომელიც ფეხს იდგამს და კბილებს ამოსდის. სხვათაშორის ეს მარტო გვარდიას არ ეხება. ასეა დღეს ყველაფერი საქართველოში, რაც იქმნება... დასაწყისი რომ ყოველთვის ძნელია, ეს ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ.

ეროვნულ გვადიას სრულყოფილებამდე ბევრი რამ აკლია: შეიარაღება, სასწავლო ცენტრები, ბაზები, პედაგოგ-ინსტრუქტორები... მაგრამ, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო მეტად მას აკლია ქართული სული, მებრძოლისა და მეომრის სული. რუსეთის ჯარში ხანგრძლივმა სამსახურმა აღმოფხვრა ქართველ კაცში მებრძოლისა და რაინდის სული. როდესაც შენ იცავ სხვის საზღვრებს და არა შენსას — ეს უდიდესი ტრაგედიაა...

აუცილებლად უნდა აღდგეს საქართველოში ძველთაძველი ტრადიცია მეომრისა და მებრძოლის პატივისცემისა...

აუცილებლად საჭიროა სამხედრო სახელმძღვანელოების შექმნა ქართულ ენაზე... აი, როდესაც ყველა ეს ფაქტორი ამოქმედდება, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ეროვნული გვარდია საქართველოს საიმედო ბურჯია.



# ძალისმიერ ალტერნატივას — მშვიდობიანი ალტერნატივა

**იმისათვის**, რომ დაძლიოს იმპერიის კომუნისტური დოქტრინის კრიზისი და ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, საბჭოეთი პროვოკაციებსა და ინსპირაციებს მიმართავს.

ამ მიზნით საბჭოეთმა საქართველოში გაითამაშა დემოკრატია, წინააღმდეგობა არ გაუწევია საქართველოში მრავალპარტიული არჩევნებისათვის, რომ შემდეგ განეხორციელებინა თავისი შორს მიმავალი გეგმები, მთელი რიგი ინსპირაციებით, პროვოკაციებით, კონფლიქტებით, დემოკრატიული არჩევნების შედეგად შექმნილი უზენაესი საბჭო ისეთი გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დაეყენებინა, რომ იძულებული გახადა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე დაეთანხმებინა.

რის საფუძველზე აპირებს საბჭოეთი ხელშეკრულების დადებას? კომუნიზმის იდეამ კრახი განიცადა, 70 წლის განმავლობაში გაცვდა. რით შეიძლება იგი შეიცვალოს? ხელშეკრულებით ეკონომიკურ საფუძველზე, სამხედრო კავშირით თუ საგარეო ურთიერთობაში კოორდინაციით, რასაც სახელმწიფო წყობილების ფედერაციული, კონფედერაციული, თუ უნიტარული ფორმები შეესაბამება? საბჭოეთმა აირჩია იმპერიის შენარჩუნების ყველაზე ხელსაყრელი ფორმა, ფედერაციული უნიტარიზმი, რომელსაც განახლებული ფედერალიზმი უწოდა. სინამდვილეში არავითარ ცვლილებებს არ ექნება ადგილი. საბჭოეთი კლასობრივ თეორიაზე დამყარებულ სახელმწიფო კაპიტალიზმის ექსპლოატაციის ფორმას უნაცვლებს ვითომდა თავისუფალი ბაზრის კონკურენციის ფორმას, სინამდვილეში კი მის სოციალისტურ ნეგატიურ ნაირსახეობას; მთელი კავშირის მასშტაბით კონტროლირებადი ცენტრისტულ საბაზრო ეკონომიკის მეტად მძარცველურ ფორმას.

რა უნდა დაუპირისპიროს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საბჭოეთის ასეთ ტაქტიკას? რა გზას უნდა დავადგეთ?

დღესდღეობით შეიარაღებული აჯანყების გზა დამღუპველია.

საგარეო ურთიერთობის გზა ნაკლებ ეფექტურია. მსოფლიო ერთიან, განუყოფელ საბჭოეთს უჭერს მხარს.

დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ძალა საქართველოს ჯერჯერობით არ შესწევს.

ამიტომ, საბჭოეთის ძალისმიერ პოლიტიკას ან სამოკავშირეო ხელშეკრულება ან მშვიდობიანი, პოლიტიკური ალტერნატივა, ჩვენი კონსტიტუციური უფლებები უნდა დავუპირისპიროთ. მშვიდობიან მოსახლეობაზე დაუსჯელი შეიარაღებული თავდასხმანი შეუიარაღებელი ქართველი მოსახლეობის დიდ მსხვერპლს იწვევს, საქართველოს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, თავისი არსებობის გადასარჩენად სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება (მუხლი 69, თავისუფალი გასვლის უფლების შესახებ) და თვით გახდეს თავისი ინტერესებისა და უფლების დამცველი. თუკი ასეთი ინსპირაციები და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა გაგრძელდება, საქართველო იძულებული იქნება, დროზე ადრე შეაჩეროს გარდამავალი პერიოდის მოქმედება, შეაჩეროს, აგრეთვე, საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედება, მოითხოვოს საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა. გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და აღადგინოს საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის მოქმედება, გამოაცხადოს დამოუკიდებლობა.

ასეთი განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობით, ტერიტორიული მთლიანობით და განუყოფლობით უნდა იყოს ნაკარნახევი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

**ამირან დოლიძე**

# როდემდე უნდა ვდუმდეთ?!

ალექსანდრე ფოცხიშვილი

როგორც ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი წერილით გვამცნო ქალბატონმა ნათელა ვახაძემ, მას სასამართლოში უჩივლია ბატონ ალექსანდრე ფოცხიშვილისათვის იმ „სისტემატური დევნისა და ცილისწამების" — გამო, რასაც თურმე წლების განმავლობაში ეწევა ეს უკანასკნელი მის წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ 1979 წლის 13 თებერვალს მწერალთა კავშირისა და შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გა[illegible]ნებულ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბ-ნმა ა. ფოცხიშვილმა [illegible] მოითხოვა სამედიატორო სასამართლოს გამართვა მასა და ქ-ნ [illegible]ვახაძეს შორის.

მცირეოდენი შემოკლებით ვაქვეყნებთ ამ სიტყვას, რომლიდანაც აგრეთვე კარგად ჩანს, თუ ვინ ვის სდევნიდა და ავიწროებდა.

ამასთან დავძენთ: ნ. ვახაძემ აღნიშნულ წერილში საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ არცერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა მისი პასუხი იმ მამხილებელ წერილებზე, რომლებიც ბოლო ხანებში დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა ნოდარ გრიგალაშვილის სტატია „მე ვწერ აკადემიკოს დედაკაცზე".

მკითხველს შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რაკი ბ-ნი ნოდარი ჩვენი გაზეთის რედაქტორია, ამიტომ არ დაიბეჭდა ნ. ვახაძის პასუხი.

არადა, მხოლოდ იმის გამო არ დაიბეჭდა, რომ ნ. ვახაძეს წერილი ჩვენთვის არ მოუწოდებია.

თუკი ისურვებს, დღესაც სიამოვნებით დავსტამბავთ მის ნებისმიერ გამოხმაურებას ყოველგვარი სარედაქციო ჩარევის გარეშე.

მე მინდა დღეს ისეთ საკითხებზე ვილაპარაკო, რომლებიც ერთნაირად უნდა გვაღელვებდეს მწერლებსაც და მეცნიერებსაც, ძველ თაობასაც და ახალ თაობასაც...

გულდასმით მოვისმინე და მერე წავიკითხე ამხანაგ ე. შევარდნაძის [illegible]

ლებს და მერე არა გვრცხვენოდა ბოდიში მოგვეხადა უკვე მათი სულების წინაშე. ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილისა და ათეულობით სხვათა სიცოცხლის სისხლიანმა დასასრულმა ჩვენ ჭკუა ვერ გვასწავლა.

გვეყოს გამბედაობა და ვალიაროთ, იმ ახალგაზრდების გულისტკივილი ყველა ჩვენთაგანს რომ გულთან მიგვეტანა, სახალხოდ გვემსჯელა, მისალები მიგველო და დასაგმობი დაგვეგმო და მთელს ამ საკმაოდ სოლიდურ ჟურნალებზე მკაცრი ტაბუ არ დაგვედო, ხომ არ მივიდოდნენ ისინი უცხოელ ჟურნალისტებამდე.

რათა ერთხელ კიდევ არ მიიღოთ საყვედური, არ გითხრან, სად იყავით, რას აკეთებდითო, როცა თქვენს გვერდით თქვენი ამხანაგი უცხოეთის პრესას უკავშირდებოდაო, მე მინდა გაგაცნოთ დოკუმენტი, რომელიც ერთმა თქვენმა კოლეგამ ჯერ კიდევ შარშან, 4 სექტემბერს, ე. ი. ხუთი თვის წინათ გამოუგზავნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ინაურს.

ავტორს აცნობეს, რომ წერილი საგანგებო ფოსტით გადაეგზავნა ამხ. ე. შევარდნაძეს პირადად. როცა ცენტრალურ კომიტეტში იკითხა, მას უთხრეს: — წერილი ჩაბარდა ადრესატსო, თუმცა მას დღემდე არავითარი პასუხი არ მიუღია. ავტორმა ერთი თვის წინათ მიმართა უკვე ახალ მდივანს ამხ. გ. ენუქიძეს, რომელმაც უთხრა, გავარჩევ თქვენს საქმეს და გამოგიძახებთო. პასუხი კიდევ არ ჩანს.

ახლა იმ ამხანაგს გადაწყვეტილი აქვს მთელი ეს მიმოწერა, რომელიც ოთხი წელია გრძელდება, გადასცეს უცხოეთის პრესაში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ, როცა გაზეთში წაიკითხა დღევანდელი დისკუსიის შესახებ, ერთხელ კიდევ სცადა თავი შეეკავებინა ამ აქტისაგან და გადაწყვიტა საქმის ვითარება თქვენთვის გაეცნო. იქნებ ღირს, ვიმსჯელოთ ამ საქმეზე.

ვკითხულობ წერილს!

უწყებულება

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ.**

**ა. ინაურს.**

**ვარ სამამულო ომის მონაწილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ოცი წელი ვმუშაობდი თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1975 წლის თებერვლიდან არჩეული ვიყავი ქართული ენის კათედრის პროფესორად. იმავე წლის მაისში ინსტიტუტის რექტორს დოც. ნ. ვახაძეს გადავეცი კრიტიკული წერილი მისი ინსტიტუტში სამი წლის მუშაობის ანალიზით, ხოლო დეკემბერში აგრეთვე აშკარად, 600 კაცზე აუდიტორიის წინაში გამოვედი არაოფიციალურ ოპონენტად. როცა იგი დისერტაციას იცავდა. აშკარად დავუმტკიცე, რომ დისერტაციის [illegible]რი ნაწილი სხვისი შრომების მითვისებით იყო დაწერილი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დისერტანტმა საერთოდ უარი განაცხადა ეპასუხა ჩემთვის. სამაგიეროდ, იმ დღიდან იწყება ჩემი დევნა ენით გამოუთქმელი მეთოდებითა და საშუალებებით.**

**რექტორმა მოახერხა ისიც, რომ გაუგონარი სასამართლო პროცესი მომიწყეს ჩემივე მცირეწლოვანი შვილების გამოყენებით. ბავშვებმა უსაქციელობა ჩაიდინეს, რისთვისაც უფროსი — 8 წლის ვაჟიშვილი — როგორც ამას ყოველი მამა იზამდა, მსუბუქად დავსაჯე, (საკუთარი, ბავშვისავე ხელები გავარტყი რამდენჯერმე სახეში). რაზედაც სხეულის მსუბუქი დაზიანების ცნობა აიღეს და მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად შვილის კარგად აღზრდის სურვილისათვის მამის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ვახაძე-დანელიას ოჯახის უახლოესმა მეგობარმა, მოსამართლე ბოსტოღანაშვილმა კი (ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ, ვისაც ჩემი საქმე, რა თქმა, უნდა, საგანგებოდ გადასცეს) ერთი წლის იძულებითი მუშაობა მომისაჯა საერთო წესით — მომხსნეს კონკურსით დაკავებული სამუშაოდან და გამგზავნეს მშენებლობაზე აგურის საზიდად, ესეც არ მაკმარეს, მე ერთი წელიწადი და შვიდი თვეა უმუშევარი ვარ და თავად განსაჯერ, რა მდგომარეობაში ვიქნებით მეცა და ჩემი შვილებიც, რომელთა ინტერესების დაცვას აპირებდა საბჭოთა მართლმსაჯულება.**

**ნ. ვახაძის უკიდეგანო ადმინისტრირებისა და ყოველგვარი კანონების საზღვარგადაცილებული მოქმედების მსხვერპლი გახდნენ სხვადასხვა დროს პროფესორები: შ. ჩხატია, ელენე ნანობაშვილი, ტ. კაკუშაძე, აკ. გაწერელია და სხვები; დოცენტები: გ. პელიძე, ო. ხაზარაძე, ა. პატარიძე, აკ. ვაშაკიძე, ა. ლორია, ო. ლაბარტყავა, შ. გელაშვილი და სხვები; უფროსი მასწავლებლები: ჟ. გოგუაძე, ქ. დემურიშვილი, ნ. ბორჯაძე, ა. ღლუნაშვილი, ვ. ცომაია და სხვები. უფრო უარეს დღეში აღმოჩნდნენ ინსტიტუტის ადმინისტრაციული პერსონალი და ლაბორანტები: თითქმის კვირა არ გავა, ვინმე სამუშაოდან არ გაათავისუფლონ, რომელთა უმეტესობა მერე სასამართლოს საშუალებით ბრუნდება ინსტიტუტში. აი, ამჯერადაც სასამართლოშია სამი თანამშრომლის სამუშაოზე აღდგენის საქმე: ერთი მათგანი, ნ. ხემსიწვერიძე, რომელიც შვებულებაში ყოფნის დროს მოხსნა ვახაძემ, სასამართლომ აღადგინა, მაგრამ რექტორი სამუშაოზე მაინც არ უშვებს.**

**ყველაფერი ამის შესახებ იციან სამინისტროში და საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილებაში, ე. ი. მხოლოდ იქ, სადაც ნ. ვახაძეს თავისი მოჩვენებითი ავტორიტეტითა და ქმრის დახმარებით მფარველობა გარანტირებული აქვს.**

**მე ვეცადე როგორმე ხმა მიმეწვდინა ამხ. გ. კოლბინისათვის — არაფერი გამომივიდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამხ. ე. შევარდნაძისაკენ მიმავალი გზები ხომ ცხრაკლიტულითაა ჩარაზული. განცხადება გამოვაგზავნე თქვენს სახელზედაც. ვიყავი ამხ. მოსეშვილთან, განცხადებით მივმართე პ. გილაშვილსაც, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. აბაშიძეს.**

**სათცრადაა გზა ჩაკეტილი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც. იქ გლებულობს ჩვენი ზონის ინსტრუქტორი, რომელიც ხანამ შეგხვდებოდეს, ინფორმაციას იღებს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებიდან და გაძლევენ იმავე პასუხს, რასაც აქ გპასუხობენ.**

**ერთი სიტყვით, მე აღმოვჩნდი კანონგარეშედ გამოცხადებული მხოლოდ იმიტომ, რომ გავაკრიტიკე რექტორის უკანონო მოქმედება და ანტიმეცნიერული საქციელი.**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მე, და არა მხოლოდ მე — ჩემი ოჯახის წევრებიც, კანონგარეშედ მეორედ ვართ გამოცხადებული. ადრე 1937 წლიდან, როცა მამაჩემი, მოწინავე კოლმეურნე და ხუთი შვილის მამა, სრულიად უდანაშაულოდ დააპატიმრეს, ჩვენ, მისი შვილები და ახლობლები მთელი 18 წლის განმავლობაში უფლებაჩამორთმეული ვიყავით. თუმცა სამამულო ომის დროს ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და სამივე ძმა ქვეყნის სადარაჯოზე დავდექით. ერთ-ერთი 1948 წელს დაეცა კარპატებში ბენდერელების ტყვიისაგან განგმირული.**

**რადგან საბჭოთა კავშირის ფარგლებში სიმართლის პოვნის ყოველგვარი გზები დახურული აღმოჩნდა, გადავწყვიტე ვცადო საზღვარგარეთის პრესის საშუალებით ღია წერილი გავუგზავნო ამხ. ე. შევარდნაძეს. იქნებ ამ გზით მოვახერხო, მივიქციო მისი ყურადღება.**

**ამას გაუწყებთ სწორედ თქვენ იმიტომ, რომ მერე სამშობლოს მოღალატედ არ მომნათლოთ და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მტრული აგიტაცია არ დამწამოთ.**

**მე იძულებული გამხადეს, ასე მოვიქცე, თუმცა ვერ გამიგია, რა მიზანი აქვთ იმ ამხანაგებს, როცა ასეთი მოქმედებისაკენ მიბიძგებენ.**

**19 VI-1978.**

ამ წერილის ავტორი თქვენი მონამორჩილია. იგი ახლა თქვენ მოგმართავთ აშკარად და მიუკიბ-მოუკიბავად: მოგიწოდებთ, დაეხმაროთ მას სამართლიანობისათვის ბრძოლაში მანამ, სანამ გვიან არ არის, სანამ ამ გაუგონარი უსამართლობის შესახებ არ ალაპარაკდება უცხოეთის პრესა და ერთს სინამდვილეს ათას ჭორსა და ზღაპარს არ მიუმატებს.

არ შეიძლება არ ითქვას ჩვენს პრესაზედაც: არ მესმის, როგორ შეიძლებოდა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე" ადგილი დაგვეთმო ყოვლად ზნედაცემული და გარეწარი კერატიშვილისათვის და, რადგან ეს მოხდა, იგივე „ლიტერატურული საქართველო" რატომ ერთ სიტყვასაც არ ძრავს იმის შესახებ, რომ იგივე კერატიშვილი გაუსწორებელი მძარცველი აღმოჩნდა.

მე ვიცი, რომ „ლიტერატურული საქართველო" ანგარიშს მისცემს ამ დისკუსიის შესახებაც და, ალბათ, იძულებული იქნება აღნიშნოს ჩემს გამოსვლაზედაც. მე ახლავე მოვითხოვ, ჩემი გამოსვლა დაიბეჭდოს მთლიანად და შეულამაზებლად, ან საერთოდ არაფერი ითქვას მასზე, როგორც ასეთ დროს ჩვეულებრივ იქცევიან.

ახლა ქალაქში და მთელს რესპუბლიკაშიც, ბევრს ლაპარაკობენ ჩემი მოგვარის — მორის ფოცხიშვილის გამოსვლაზე თბილისის პარტიულ კონფერენციაზე.

ეს გამოსვლა ყველა თბილისელისა და თბილისურის გულწრფელი სიყვარულით იყო გაჟღენთილი. მოსაწონი და მისასალმებელი იყო ორატორის სითამამე.

მაგრამ მე მაინც მთლად კარგად არ მესმის ზოგი მისი მოსაზრებისა. მორისს უკვირს, რომ მილიონიან თბილისში ასეთი ქურდბაცაცაა, რომლებიც მანქანებს იტაცებენ ან ბინებში შედიან, მაგრამ მას არ უკვირს, რომ იმავე მილიონიან თბილისში, სადაც სულ რამდენიმე ასეული პროფესორი ცხოვრობს, რომელთაგან ძალიან ცოტა თუ იქნება ომის მონაწილე, ერთ-ერთი მათგანი წელიწადნახევარზე მეტია უმუშევარი დადის და ლამის თვითონაც იმ ქურდბაცაცებს შეუერთდეს. ამ პროფესორის დანაშაული კი ის არის, რომ მან გაბედა და გააკრიტიკა ცრუმეცნიერი და ყალბისმქმნელი. მორისს არ უკვირს, რომ ყველაფერი ეს ხდება ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელშიაც საგანგებოდ ჩავწერეთ: კრიტიკის მდევნელი პასუხისგებაში უნდა მიეცესო.

მე სულაც არ მიკვირს მანქანების გატაცება და ბინების ქურდობა. ასეთი სენი ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისთვის თანდაყოლილი იყო მეტნაკლებად მუდამ.

უფრო მეტიც, მე [illegible] ხეერად გაუნათლებელი, პირზე რძეშეუმშრალი ღლაპებისა, რომლებიც ახერხებენ ხუთი ბოქლომითა და ათი ურდულით გადარაზული ბინების კარების შელებას და ცხრაკლიტულში გადამალული ასევე ნაქურდალი ქონების პოვნას. დიახ, მშურს მათი, რადგან მე, მათზე ცოტა მეტი განათლებისა და დამსახურების პატრონმა, ხუთ ათეულ წელს გადამბიჯებელმა, ოთხი წელია ვერაფრით ვერ მოვახერხე, „ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყანაში", სადაც დაკეტილი თითქოსდა არაფერი უნდა იყოს, შემეღო ამხ. შევარდნაძის კაბინეტის კარები და მომეხსენებინა მისთვის ყველაფერი, რასაც საგანგებოდ უმალავენ.

მე ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ თითქოს ქურდობა არ მიკვირდეს და მის წინააღმდეგ არ უნდა ვიბრძოლოთ. პირიქით, მაგრამ, სადაური სამართალია, რომ ექვსი თუმანი ხელფასის მქონე ნოქარს, რომელიც დახლში რვა საათის განმავლობაში ფეხზე დგას, ორი შაურის მოპარვისათვის ციხეში ვაგზავნით, ხოლო მოპარული შრომით გადოქტორებულ ნათელა ვახაძეს სახელმწიფო ჯიბიდან დამატებით თვეში 200 მანეთს ვაძლევთ, სახელმწიფო მანქანებით ვასეირნებთ და ყველა საჯარო შეკრებაზე მაღალი ტრიბუნიდან პატიოსნებისა და კომუნისტური მორალის შესახებ (მართალია, სხვის დაწერილს, მაგრამ ამის შესახებ ხომ არავინ არაფერი იცის) ლექციებს ვაკითხებთ.

ამ უწიგნური და ყოველგვარ საზღვარგადაცილებული თავხედობის მქონე ქალის კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა მამხილებელ დოკუმენტს ხელი მოაწერა ათზე მეტმა პროფესორმა, დოცენტმა და უფროსმა მასწავლებელმა. ეს რიცხვი, გარწმუნებთ, ათჯერ მეტი იქნებოდა, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლობა, ჩემი მაგალითით რომ არ დაეშინებინათ, მაგრამ განა ათი კაცი არ კმარა? ხელმძღვანელობამ ხომ უნდა იცოდეს, ათი აშკარა ხელმომწერის უკან რამდენი თანამოაზრე დგას.

ამის მერე არ მესმის, რა აზრი აქვს ამდენ ხმაურს ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაზე.

მე ჩემი სათქმელი გითხარით პირუთვნელად და შეულამაზებლად: მასში დასახელებულ ყველა ფაქტზე პასუხს ვაგებ ყველგან და ყოველთვის, თუმცა პასუხსაგები არაფერია, რადგან სინამდვილეში მე თქვენთვის არ დამისახელებია ამ ფაქტების ერთი მეათედიც კი. მეტს თავს აღარ შეგაწყენთ და არ მოგიყვებით იმ გაუგონარი დევნისა და შევიწროების შესახებ, რასაც ინსტიტუტის თანამშრომლები განიცდიან, ან განვიცდიდი და განვიცდი მე.

ვიცი, ჩემს გამოსვლას ერთი დიდი ნაკლი აქვს — მას არ უსმენენ ისინი ვისი გვარებიც დავასახელე და ვის მიმართაც ვილაპარაკე. მაგრამ იძულებული ვიყავი ამჯერად ასე მოვქცეულიყავი. მე რომ მათთვის მეცნობებინა გამოსვლას ვაპირებ და დამესწარით-მეთქი, ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ ჩემი გამოსვლის ჩასაშლელად.

სამაგიეროდ მათ: ამხანაგ სეხნიაშვილს, ამხანაგ ქოჯაიას და რაც მთავარია, თავად ნათელა ვახაძეს, ვიწვევ **საჯარო პაექრობაში, თუ მეცნიერულ სასამართლოში (ხომ არსებობდა ასეთი სამედიატორო სასამართლო!). მოვაწყოთ ეს სასამართლო თქვენი თანდასწრებით აქ, გნებავთ, სხვაგან, მაგრამ აუცილებლად საჯაროდ, ღიად, ყველა დაინტერესებულის თანდასწრებით. მოიყვანონ დამცველები და შემოიტანონ ჩემს საწინააღმდეგოდ შეთითხნილი დოკუმენტები.**

ყველაზე უფრო უპრიანი კი იქნებოდა ეს სამედიატორო სასამართლო თვით პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში გამართულიყო, სადაც ვმოღვაწეობდი ერთ ჩვეულებრივ თანამშრომლად მე, და სადაც რექტორად. ზის ნათელა ვახაძე — გაგონილს ნახული აჯობებდა.

მე ამით ვამთავრებ. გმადლობთ ყურადღებისათვის და ბოდიშს გიხდით, რომ დრო აღარ მრჩება ლიტერატურულ კრიტიკას შევხებოდი, მაგრამ ჩვენი ლიტერატურა ხომ ცხოვრების ამსახველია და ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეების კრიტიკა დღევანდელი პაექრობის გაგრძელებად უნდა მიითვალოთ.

1979 წელი.

**ᲩᲔᲙᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ** მანქანით შინსახკომის შიდა ციხესთან მიმიყვანეს, ბესიკის ქუჩაზე მდებარე ვეებერთელა შენობაში.

მეორე სართულზე ავედით. შესასვლელში მორიგე დაგვხვდა. თანმხლებმა მორიგეს გადააბარა ჩემი თავი ხელწერილით, როგორც ნივთი ან პირუტყვი.

მორიგემ ანკეტა შეავსო. ხელი მომაწერინა. შემდეგ ქამარი და ყელსახვევი ამართვა, შარვალზე ლითონის ღილები ამაჭრა და ტელეფონით ვიღაცას უხმო. ორ წუთში გაჩნდა შინსახკომის თანამშრომელი. მან ხელით მანიშნა გავყოლოდი. გავყევი.

შიშს იმჟამად არ ვგრძნობდი. ძლივს ვიკავებდი უღილო და უქამრო შარვალს, ორივე ხელით მეპყრა, რომ არ ჩამვარდნოდა.

ეს პირველი შემოტევა იყო ადამიანის ღირსების დაკნინებისა და დამცირების მიზნით, ე. წ. ფსიქიკური ზემოქმედება.

როგორც შემდეგ შევიტყვე, ქამრების, ყელსახვევების და ლითონის ნივთების ართმევა პატიმრების თვითმკვლელობის საწინააღმდეგო ზომად მიაჩნდათ.

გრძელი დერეფნით რომელიღაც ოთახს მივადექით. გამყოლმა ორჯერ დაატრიალა გასაღები კლიტეში, შეაღო და ოდნავ წამკრა ხელი, შედიო. ყოველივე ეს უსიტყვოდ.

შემზარავი იყო გასაღების კლიტეში ტრიალის ხმა. ეს ხმა დღემდე მომყვება და ხშირად მესიზმრება. კარი ჩაიკეტა. ისევ გასაღების შემაძრწუნებელი ხმა.

საკანში ერთბაშად ვერაფერი გავარჩიე; მეცა ოხშივარი, ადამიანის ოფლის და ნესტის სუნით გაჟღენთილი. თავბრუ დამეხვა. როცა თვალი შეეჩვია, დავინახე, რომ ჩემკენ წამოიწია იატაკზე მწოლარე ოთხმა კაცმა. მეხუთე საწოლზე იჯდა და მიყურებდა შეშფოთებული და აღგზნებული თვალებით.

ვიცანი მხოლოდ ერთი, ისიც ხმით, როცა თვითონ მომმართა. ეს იყო ცნობილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ი. კ-ი, რომელიც ჩვენს ოჯახში ჩემი ბავშვობის წლებში არაერთხელ მინახავს.

გავოცდი. მისი დაპატიმრების შესახებ არა ვიცოდი რა. დავაპირე გამოვკითხა, მაგრამ ვინ დამაცადა. ყველას ჩემგან უნდოდა შეეტყო ახალი ამბები და ერთი და იგივე კითხვა ეკერათ პირზე: „შეწყდა თუ არა ციებ-ცხელება? ვინღა დარჩა გარეთ? რას ამბობს ხალხი?" და სხვა.

რა უნდა მეთქვა?!

განა კვლავ არ დაქროლებდნენ ღამ-ღამობით ავტომანქანებს, განა კვლავ არ ისმოდა უდროო დროს კაკუნი კარზე ქალაქად, სოფლად, ყოველ ქუჩაზე, ყველგან, სადაც კი მიუწვდა ხელი ბოროტებასა და ულმობლობას. თითქოს შავი ჭირის მოარულმა სენმა თავისი ჩრდილი სუდარასავით გადააფარა წუთისოფელს.

ჰოდა, რითი ვანუგეშებდი ამ ხალხს?

ვუამბე, რაც ვიცოდი.

აღგზნებულმა ლაპარაკმა შუაღამემდე გასტანა. დავიღალეთ. ყველა წამოწვა. კ-ი — საწოლზე, დანარჩენები იატაკზე. მეც იატაკზე მოვთავსდი, პროფესორის საწოლის გვერდით. საკანში ერთადერთი საწოლი იყო.

ცოტა ხანს გარინდებული ვიწექით. პროფესორმა ჩემკენ წამოიწია და დაბალი ხმით მომმართა:

— დავით, არ შეგეშინდეს, ეხლა დაიწყება საშინელება. დილამდე თვალს ვერ მოვხუჭავთ.

— რა დაიწყება?

— ამის ენით აღწერა შეუძლებელია. ცოტა კიდევ და შეიტყობ!

არ გასულა, ხუთიოდე წუთი და შორიდან, რომელიღაც ზედა სართულის ოთახიდან მოისმა საშინელი ყვირილი, ყრუ კვნესა, უხეში ლანძღვა-გინება.

უნებურად წამოვჯექი და გაფითრებული ვუსმენდი ამ ხმებს. ამხანაგებმა ალბათ შემამჩნიეს, რომ დავიბენი და არ მესმოდა, რა ხდებოდა. ერთმა ჩუმად მითხრა:

— ამას აქ გამოძიება ეწოდება!

ყველამ ვიგემეთ უკვე საკმაოდ.

გულს რაღაც მომაწვა, კეფიდან ზურგისკენ ცივმა ტალღამ დამიარა.

ორიოდე წუთის შემდეგ ამ ხმებს დაემატა ქალის კივილი და ვიღაცის უშვერი სიტყვები — მეორე ოთახიდან, შემდეგ მესამედან, მეოთხედან, ყოველი კუთხიდან, ყოველი მხრიდან...

გჯერათ, რასაც მოგითხრობთ? არ გჯერათ, ალბათ. მეც არა მჯერა, თითქოს სხვის მონაყოლს ან კოშმარულ სიზმარს გიყვებოდეთ. მაგრამ ეს ნამდვილად იყო.

პირველ წუთებში ყველაფერი ინსცენირებადაც კი მივიჩნიე — ჩვენზე ფსიქიკური ზემოქმედების მოსახდენად, ნებისყოფის გასატეხად.

ხმაურმა იმატა. ყველანი გატრუნული ვისხედით. მე თანდათანობით შიშმა ამიტანა. პროფესორმა შემომხედა და მითხრა:

— ასეა ყოველღამ, განუწყვეტლივ!

— კი მაგრამ, განა ეს საქმეა? განა ცემა-ტყეპით მიღებულ ჩვენებას რაიმე ფასი აქვს? ინკვიზიცია უფრო ხშირად მართალს სჯიდა და ბოროტს ამართლებდა. ეს ხომ ყველამ ვიცით.

ჩემს კითხვებს არავინ გამოეხმაურა. ირონიული ღიმილიც კი მომმართა მან, — როგორც შენ ბუშმენი! როგორ ვიცრუო, როგორ ავიღო თავზე ასეთი რამ? ეს ხომ გაუგონარი შეუსაბამობაა...

მეორე დღეს გამეორდა წუხანდელი ორომტრიალი. ისევ მოისმა ვაების ხმები. ისევ ღრღნიდა შიში გულის ფიცარს. ყოველი კუნთი მიკანკალებდა. ვცდილობდი თავი შემეკავებინა, ვერას გავხდი. შეიძლება შემეკითხოთ: თუ არაფერი დაგიშავებია, რამ შეგაშინა, განა მართალ კაცს ცრუ ბრალდება რამეს დააკლებს?!

ეს კითხვა მართებულია. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ეს იყო 1937-1938 წლებში. სწორედ იმიტომ, რომ არავის წინაშე დანაშაული არ მიმიძღოდა, სწორედ იმიტომ, რომ არც ადამიანისათვის და არც სახელმწიფოსათვის ვნება არ მიმიყენებია, მომიცვა შიშმა: „ვაი, თუ ვერ გავუძლო ჯოხსა და მათრახს და ტყუილი მათქმევინონ! მერე?!"

მე იურიდიული ცოდნა მქონდა მიღებული და კარგად ვიცოდი, რა

გამომძიებლების კაბინეტები იყო) მოისმოდა ტანჯვისა და ვაების ხმები: ტირილი, ქვითინი, კივილი, მუქარა, გინება, ისტერიული შეძახილები, ცემა-ტყეპა, ხვეწნა, ვედრება.

როგორც ეტყობა, ღამით გამოძახებას და პატიმრების დასაკითხავად ასეთ გარემოცვაში მოყვანას უნდა მოჰყოლოდა „ხალხის მტრების" ნებისყოფის და წონასწორობის შერყევა. თუ ეს ჰქონდათ მიზნად, ჩემს მიმართ არ გაუმართლდათ. დღესაც მიკვირს, მაგრამ სულ სხვა შედეგი გამოიღო ჩემში ყოველივე ამან. გულის სიღრმიდან წამოვიდა დიდი, უძლეველი პროტესტის ტალღა. ეს მე კარგად მახსოვს. ვიცოდი, რაც მომელოდა, ვიცოდი, რომ მეც უნდა გადამეტანა შინსახკომელი „დასტაქრების" ექსპერიმენტები. სხვა გზა არ იყო. მთავარია, სულით გავუძლო გავუძლო. ოღონდ სიცრუე არ მათქმევინონ! ხორცს კი... ხორცს რაც უნდათ, ის უყონ.

დაიწყო სხვანაირად. შემიყვანეს

# ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ

# ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲨᲘ

შევამჩნიე ერთ-ერთს, ალბათ იფიქრეს, „ეს ვინ მოსულა ასეთი მიამიტიო?!" მხოლოდ კ-მა უსიტყვოდ ზურგი მომიბრუნა და პერანგი აიწია. დავინახე ნაცემ-ნაგვემი, ჩალურჯებული მხრები, ზოგან კანი აცლილი იყო და ახალი კანი ღამეულ შუქზე ლაპლაპებდა. მთელი ზურგი დასერილი იყო ზოლებით.

სუნთქვა შემეკრა.

ლაჩრებში არ ვირიცხებოდი ბავშვობიდანვე, თუმცა, არც მუშტიკრივის მოტრფიალე ვყოფილვარ, მაგრამ იმან, რაც იმ დღეს ვნახე და გავიგონე, წამახდინა. ენა ჩამივარდა.

ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, პატიმრები შეკრთნენ, სული განაბეს. მე თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი.

ფეხის ხმა ჩვენს საკანს მოუახლოვდა. გასაღები კვლავ ორჯერ გადაატრიალეს კლიტეში, თითქოს ხანჯალი გაატარეს გულში. კარი გაიღო, შემოიხედა შინსახკომელმა, დაგვათვალიერა და კ-ს მიაშტერდა, ხელით უჩვენა, გაჰყოლოდა. პროფესორმა ფერი დაკარგა, თუმც ხმა არ ამოუღია. რომელიღაც ჩვენთაგანმა პიჯაკი მიაწოდა. კ-ი გაჰყვა გამცილებელს.

ყველამ მოურიდებლად შვებით ამოისუნთქა, რადგან მათ არ შეეხო ეს ამბავი. ეს შემდეგში მეც დამჩემდა: „ოღონდ მე ნუ გამომიძახებენ დღეს, დეე სხვას დაუძახონ". ასე აკნინებდა, ასულმდაბლებდა ადამიანს ის დრო. დღესაც მრცხვენია, რომ გავიხსენებ იმდროინდელ სულისკვეთებას და ფიქრებს.

თითქმის ოთხ საათს დაჰყო კ-მა გამომძიებელთან. ოთხი საშინელი საათი. დილის ექვსამდე არც ერთს არ დაგვიძინია, ან ვის დაეძინებოდა ამ პირობებში.

ინათა. დერეფანში გაისმა რამდენიმე კაცის ფეხის ხმა. კვლავ გასაღების ჟღ... ორმა გამცილებელმა შემოიყვანა ი. კ-ი, ფერმიხდილი, დასისხლიანებული, ნაწამები. გამყოლები გავიდნენ. პროფესორი ფეხზე ვერ დგებოდა. დავაწვინეთ, როგორც შევძელით, მოვუარეთ. დიდხანს ხმა არ ამოუღია. ზურგზე ვერ დაწვა. მხრები და წელი ერთ მთლიან იარას წარმოადგენდა.

დილის შვიდი საათისათვის თანდათანობით შეწყდა შიდა ციხის პატიმართა ცახცახი. კ-მა დიდი ვაივაგლახით მონახა მოხერხებული მდგომარეობა და ჩათვლიმა, თუმც დროგამოშვებით ბორგავდა და გმინავდა. ნაშუადღევს მოვიდა გონს და გვიამბო წუხანდელი ამბავი. ეს უკვე მეშვიდედ განიცადა მან საკუთარ თავზე ადამიანის ღირსების გათელვა, ულმერთო წამება. მისი გამომძიებელი მუქარით, ლანძღვით, რეზინის მათრახით და ჯოხით მეშვიდედ მოითხოვდა მისგან, ეცნო თავი დამნაშავედ, აეღო ბრალდება ჯაშუშურ მოქმედებაში.

— მე ისეთივე ჯაშუში ვარ, — ტანჯულ სახეზე მწარე ღიმილით უნდა მოჰყოლოდა ბრალდების ტყუილად მიღებას. ტყუილს ტყუილი მოჰყვებოდა, დავიბნეოდი, სხვასაც დავაბნევდი, რამდენ უდანაშაულოს ჩარევდნენ ჩემს საქმეში, სახელს წამიბილწავდნენ.

აი, უკვე ოცდაათი წელია თითქმის მას შემდეგ და, მართალი გითხრათ, ენა არ მომიტრიალდება, სილაჩრე დავწამო იმათ, ვინც ვერ გაუძლო იმ წლებში ცემა-ტყეპას, ხორცისა და სულის გვემას და თავის თავზე აიღო ინკრიმინირებული დანაშაული.

განა მათ არ იცოდნენ რა მოელოდათ? იცოდნენ, მაგრამ მაინც წავიდნენ ამაზე, დაუსრულებლად ტანჯვას, უთავბოლო ცემა-ტყეპას სიკვდილი ამჯობინეს. უმრავლესობა გამოასალმეს სიცოცხლეს.

თუ მათ საქციელს სუბიექტური საზომით მივუდგებით განა ნაკლები ვაჟკაცობაა ბრალის აღება და საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა! მაგრამ თუ ამას თან მოჰყვება უდანაშაულო ხალხის დასახლება და მათი ჩათრევა, რაც უფრო ხშირად ხდებოდა, მაშინ ასეთი საქციელი სუბიექტურად და ობიექტურად სილაჩრე და ბოროტებაა. ეს დანაშაულია ხალხის წინაშე.

ეს წარმოშვა საგამოძიებო სისტემამ, შინსახკომის აპარატის თანამშრომელთა უმრავლესობის უმეცრებამ და ზნეობრივმა გახრწნილებამ, ზევიდან ინკვიზიციის დროის მეთოდების დანერგვამ და დამნერგავთა წახალისებამ.

ასიდან ორი ან სამი თუ უძლებდა მუშტსა და მათრახს. დანარჩენები ან იღუპებოდნენ იქვე, დაკითხვის დროს (რაც არც ისე იშვიათი შემთხვევა იყო), ან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ და ასახელებდნენ ვინმეს — პატიოსანს და უპატიოსნოს, დიდსა და პატარას, ცოლ-ქმარს, შვილი — მამას, ძმა — ძმას.

ციხეები ივსებოდა. ეს იყო 1937-1938 წლები.

...დადგა ჩემი ჯერიც. ღამის ორ საათზე მოგვესმა საბედისწერო ნაბიჯები დერეფნიდან. მომაკითხეს. ჩემი უბედურების მეგობრებს შვების ნიშნები დაეტყოთ. აფუსფუსდნენ, ცდილობდნენ რითიმე გამოემჟღავნებინათ თანაგრძნობა. ერთმა პიჯაკი მომაწოდა, მეორემ პაპიროსი ჩამიდო ჯიბეში, მესამემ წყალი დამისხა. მღელვარებისაგან ხელები ამიკანკალდა, წყალი ვერ დავლიე, დამეღვარა. მაგრამ გავედი თუ არა დერეფანში, მოხდა საოცარი რამ! იმავ წუთს შემიწყდა კუნთების კანკალი, შიშის გრძნობამ გამიარა, ღრმად ამოვისუნთქე და თითქმის სრულიად დავმშვიდდი. უნებლიეთ გავიფიქრე: „ალბათ ასევე მოსდიოდათ განწირულებს, როდესაც ერთადერთი გზა რჩებოდათ — გოლგოთაზე მიმავალი გზა. ეს ეს იყო სიმშვიდე უძლურებისა, სიმტკიცე უმწეობისა.

ამიყვანეს მესამე სართულზე. გზადაგზა ყოველი ოთახიდან (ეს

რომელიღაც ოთახში. გამომძიებლის კაბინეტი აღმოჩნდა. კარის პირდაპირ, სიღრმეში, დიდი ფანჯარა შენიღბული იყო მძიმე ფარდებით. ფანჯრის წინ იდგა საწერი მაგიდა, რომელსაც უჯდა შავგვრემანი შინსახკომელი. იგი გამოდგა თბილისელი ქ. არუშანოვი.

შესასვლელი კარის მარცხნივ გრძელი, ტყავგადაკრული სოფა იდგა, რომელზედაც სამი შინსახკომელი იჯდა. არ დამსვეს, შუა ოთახში გამაჩერეს. მაგიდამდე ოთხი თუ ხუთი ნაბიჯი რჩებოდა. შარვალი ორივე ხელით მეპყრა, ალბათ უბადრუკი სანახავი ვიყავი.

— შენ იცი, რისთვის ხარ დაპატიმრებული? — მომმართა გამომძიებელმა. მე გამიკვირდა. „შენობით" მომართვას არ მოველოდი. არ ვუპასუხე.

— შენ გეუბნებიან! — აუწია ხმას არუშანოვმა.

— რატომ „შენ"?

— რაო, რაო, იქნებ გგონია, მეჯლისზე ხარ დაპატიჟებული! შენ შინსახკომში ხარ, გესმის?

არ ვიცი, სწორი იყო თუ არა ჩემი საქციელი, მაგრამ გადავწყვიტე სიტყვით მაინც დამეცვა ადამიანის ღირსება.

— მე ვიცი სადაცა ვარ და მოვითხოვ წესიერ მოპყრობას!

გამომძიებელი გაოცდა. გამოშუშავებული გეგმა — წინასწარი ფსიქიკური დამუშავება, შემტევი და თავხედური შეკითხვები, მრისხანე გარემოცვა, როგორც ეტყობა, ნაცად ხერხად მიაჩნდა და ჩემგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. გადახედა თავის დამქაშებს, ბოროტად ჩაიცინა, მაგრამ მაინც შეცვალა ლექსიკონი.

— კეთილი, „თქვენობით" იყოს! გეკითხებით, იცით თუ არა, რისთვის მოგიყვანეს აქ?

— არ ვიცი!

— ძალიან კარგად იცით და გირჩევთ, დროს ნუ დაგვაკარგვინებთ. თვითონ მოყევით, რა ბრალიც მიგიძღვით სახელმწიფოს წინაშე, თორემ...

— გიმეორებთ, მე არ მესმის, რას მეკითხებით, რაში მდებთ ბრალს.

— მაშ არ გინდათ განიარაღდეთ, არა? თქვენ ხომ გაგიგონიათ მაქსიმ გორკის სიტყვები — „თუ მტერი არ განიარაღდა, ის უნდა მოისპოს". ძლივს შევიკავე თავი სიცილისაგან. საკანში მე უკვე მიამბეს, რომ მაქსიმ გორკის ამ ფრაზას იყენებდა იმ დროის ყველა „გამომძიებელი" ბრალდებულთა მიმართ.

როგორც ეტყობა, ქ. არუშანოვის ლიტერატურული „ბაგაჟი" ამით ამოიწურებოდა. შემდეგ შევიტყვე, რომ თურმე ეს ფრაზა მოყვანილი იყო „რკინის სახალხო კომისრის" ეჟოვის ერთ-ერთ სრულიად საიდუმლო ინსტრუქციაში პატიმრების მიმართ საგანგებო რეჟიმის შემოღების შესახებ. ამავე ინსტრუქციაში ეჟოვს გამოუყენებია ჟდანოვის ცნობილი ლოზუნგი: „რევოლუციას თეთრი ხელთათმანებში როდი აკეთებენ".

ვიმეორებ, ძლივს შევიკავე თავი ღიმილისაგან. ეს კი ვუთხარი:

— კი მაგრამ, თუ [illegible] შე მტერი არ არის, [illegible] რაღებულია?

ამასაც არ მოელოდა არუშანოვი. ის შეჩვეული იყო, ალბათ, პატიმრების ცახცახს, მუდარას ან ჯიქურ სიჩუმეს. მას პოლემიკის თავი არ ჰქონდა და ამიტომ მიმართა ნაცად დემაგოგიურ ხერხს:

— თქვენ ამით ის გინდათ თქვათ, რომ შინსახკომის ორგანოებმა ტყუილუბრალოდ დაგაკავეს, თუ როგორ? ეს ხომ კონტრრევოლუციური აგიტაციაა?!

მე ისევ შევიკავე თავი ღიმილისაგან:

— ესღა მაკლია, რომ კონტრრევოლუციური აგიტაცია დამწამოთ, ისიც აქ, თქვენს კედლებში!

არუშანოვი შეხტა და შეტრიალდა. მაგიდას მოსცილდა, მომიახლოვდა და კვლავ მუქარით სავსე თავხედურ ტონს მიმართა:

— ერთი შენი... — და დედა შემაგინა.

ახლა უკვე მე გამოვედი მოთმინებიდან. მაგიდასთან რომ ვმდგარიყავი, ალბათ სამელნეს დავავლებდი ხელს და ვესროდი, მაგრამ ოთხი „რაინდით" გარშემორტყმულს, ხელებდაკავებულს რა შემეძლო. ისევ სიტყვებს მივმართე.

— თქვენ ალბათ ძალიან ხართ დარწმუნებული ჩემს დანაშაულში, რადგან თავს უფლებას აძლევთ ასე ილანძღებით.

— როგორ თუ დარწმუნებული! შინსახკომი არასდროს არ ცდება. ჩვენ ყოველ შენს ნაბიჯს ვიცნობთ, ყოველ სიტყვას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ შენ 1937 წლის აპრილში ჩაგითრიეს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ხოლო რომელში, კერძოდ, ამას შენ თვითონ იტყვი, იმასაც იტყვი, ვინ ჩაგითრია.

— კი მაგრამ, ეს ხომ გაუგებრობაა! თუ კი მე მეხება, ჩემზე უკეთ ვის ეცოდინება, ვიყავი თუ არ ვიყავი ჩათრეული ასეთ ორგანიზაციაში?!

— შენ რა, ისევ აგიტაციას ეწევი? როგორ შეიძლება შენ ჩვენზე უკეთ იცოდე ეს ამბავი?

აბა რა უნდა მეთქვა ამ „სიბრძნით და ჭკუით" გატენილი შინსახკომელისათვის ასეთ „რკინისებურ ლოგიკურ დასკვნაზე". ასეთ ბრიყვთან კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ვგრძნობდი მხოლოდ; რომ პროვოკაციის მსხვერპლი ვიყავი და შემდეგი კატეგორიული განცხადებით მივმართე გამომძიებელს:

— რასაც ახლა გეტყვით, სრული სიმართლეა და გთხოვთ ეს ჩაწეროთ! არცერთ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ან ჯგუფში მე არ ვყოფილვარ. ასეთი ორგანიზაციების არსებობის ამბავი მხოლოდ გაზეთებიდან შევიტყვე, გესმით, გაზეთებიდან! თქვენ შეცდომაში ხართ შეყვანილი და ყალბი ინფორმაციით სარგებლობთ!

არუშანოვმა რაღაც ანიშნა სოფაზე მჯდომთ. ერთ-ერთი ადგა და კარისაკენ გასწია. მომეჩვენა, რომ ოთახიდან გავიდა, მაგრამ როგორც ორი წუთის შემდეგ გამოირკვა, შევცდი.

— მაშ შენ არ გინდა თქვა, რომ ხალხის მტერი ხარ, არა? — დაიღრიალა არუშანოვმა, მიუბრუნდა მაგიდას და რევოლვერი აიღო ხელში.

არ ვიცი, იმის გამო, რომ ეს ჟესტი უბრალო მუქარად მივიჩნიე, თუ იმის გამო, რომ მობილიზებული და დაჭიმული მქონდა ყოველი კუნთი, მე შიშს არ ვგრძნობდი.

— მე სიმართლის მეტს არაფერს ვიტყვი!

— არა?

— არა!

— ინანებ!

— მე მხოლოდ მაშინ ვინანებ, თუ სიცრუე წამომცდა!

არუშანოვმა რევოლვერი ხელში შეათამაშა და დაბალი ხმით აუჩქარებლად წარმოთქვა:

— შენისთანა ჯიუტ ხალხს ჩვენ ვხვრეტთ, გესმის თუ არა? თქვი, ვინ ჩაგითრია!

— არაფერი მაქვს სათქმელი.

არუშანოვმა რევოლვერი დამიმიზნა. ამ დროს უკანიდან ვიღაცამ მთელი ძალით, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ყურში მთხლიშა მუშტი.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66447

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲠ. № 33. ᲢᲔᲚ.: 22-16-01.
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ"
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲓᲐ 9 ᲛᲐᲠᲢᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ